საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო
გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 3 (23)
შაბათი, 5 იანვარი, 1991
ფასი 10 კაპიკი

საკუთარ სახლში

პარტიული ქონება — ხალხს

1990 წლის მიწურულს გამოქვეყნდა საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „პარტიული დაწესებულებები, პარტიის კუთვნილი შენობები და მატერიალური ფასეულობანი სრულიად ახლებურ, ეროვნულ შინაარსს იძენენ დღეს, ყოველივე რესპუბლიკის მოსახლეობის საკუთრებაა და მის ინტერესებს ემსახურება. ნურავინ იფიქრებს, რომ პარტიის ქონება ვიწროპარტიულ, ეგოისტურ ინტერესებსა და მავანთა და მავანთა ამბიციების დაკმაყოფილებას მოხმარდება".

განცხადება გამოიწვია რუსთავში, აბაშაში, ახალციხეში, ბაღდათსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში მომხდარმა ამბებმა, როცა, როგორც განცხადებაშია ნათქვამი, არის „პარტიულ დაწესებულებებსა და პარტიის კუთვნილ შენობებში შეჭრის, თანამშრომლების შევიწროებისა და დარბევის, მატერიალურ ფასეულობათა გატაცების ფაქტები. ყოველივე ეს ხორციელდება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის, გარკვეული პიროვნებების ხელდასხმითა და სანქციით".

რა თქმა უნდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავამართლებთ ვერც დარბევებს, ვერც დატაცებებს, ვერც რაიმე სხვა კანონსაწინააღმდეგო, ანტიკონსტიტუციურ მოქმედებას. ყოველი ასეთი შემთხვევა სააშკარაოზე უნდა გამოვიტანოთ, მივცეთ შესაბამისი შეფასება, ბრალეულნი დავსაჯოთ. ასეთი მოქმედება დესტრუქციულია, იგი იწვევს საზოგადოებრივ კონფრონტაციას და ვერ დაგვაძლევინებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს. ეს ფაქტია, მაგრამ ფაქტად რჩება ისიც, რომ კომუნისტური ორგანიზაციების მრავალი როგორც ყოფილი, ისე ახლანდელი ხელმძღვანელი, რომლებსაც ჯერ კიდევ სწამთ თავიანთი ყოვლისშემძლეობა, ტოტალიტარული სისტემა, კვლავ ებღაუჭებიან არა მარტო თავიანთ აშკარად შეჩვეულ სავარძლებს, არამედ საკუთრებასაც, რომელიც როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ხალხის საკუთრებაა და კვლავ ემსახურება მის ინტერესებს.

ხალხის რა ინტერესებზე შეიძლება ილაპარაკოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ? სწორედ კომუნისტურმა იდეოლოგიამ და პრაქტიკამ, სოციალისტურ რეალობაზე დოქტრინული იდეის ძალმომრეობამ მიიყვანა მთელი საზოგადოება ახლანდელ კატასტროფულ მდგომარეობამდე. ძალად მაცხოვრება არ შეიძლებოდა არ დამთავრებულიყო სხვაგვარად, თუ არა ნაჩქარევი სოციალიზმის იდეის კრახით. სოციალური კავშირ-ურთიერთობის მოშლა და ეკონომიკის რღვევა, დამნაშავეობის ზრდა, შიმშილი, სიცივე, სიღატაკე, ეროვნებათშორისი შუღლი, მთელ რიგ შემთხვევებში ომიც კი, მაფიისა და კორუფციის თარეში, უბრალო ადამიანებზე პარტიულ ფუნქციონერთა გაუთავებელი ძალმომრეობა — აი რის მიაღწია ქვეყანამ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ განვლილ 73 წელიწადში. ასე რომ, კომუნისტური პარტიისა და ხალხის რაიმე ინტერესებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ახლა არავინ თეორიის დონეზეც კი არ აიგივებს სამართლიანობასა და თანასწორობას, მით უმეტეს პარტიისა და ხალხს შორის.

დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საკუთრება მარტო საქართველოში — ეს არის რესპუბლიკა რესპუბლიკაში. „ყვითელი სახლი, კომუნისტთა უკანასკნელი ნავსაყუდელი", როგორც ხატოვნად უწოდებს ხალხი საქართველოს კომპარტიის ყოფილი ცენტრალური კომიტეტის შენობას, მის მახლობლად მდებარე პარტიის თბილისის კომიტეტის შენობა, პარტიული სკოლის, პარტიული კონტროლის კომისიის, პარტიის საქალაქო რაიონული კომიტეტების ათობით შენობა, ასობით კაბინეტი პარტორგანიზაციების მდივნებისათვის, პოლიტგანათლების კაბინეტები, საკუთარი სანატორიუმები, კურორტები, სამედიცინო კომპლექსები, საკუთარი ბაღები და პარკები, აგარაკები და მდიდრული ბინები, საკუთარი მაღაზიები და ბიბლიოთეკები, სასადილოები და ბუფეტები—ეს ის უძრავი ქონებაა, რომელიც შეფასებულია მილიონობით მანეთად. მათ გვერდით კი, ხშირად იმავე ქუჩაზე, ან იქვე ახლოს, ასობით პატიოსანი, მშრომელი ადამიანი წლებზე ფეხს იდგამს ლუკმა-პურის საშოვნელად და ლამის სულს ღაფავს ბარაკებში, სასოებით ელოდება ადამიანურ საცხოვრებელს ზოგჯერ 30 წელიწადს და მეტსაც. გამოცარიელებულია მაღაზიები, უამრავი ხალხი უმუშევარი რჩება, და ამ ფონზე — ლოზუნგები — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ხალხის კეთილდღეობისათვის!".

საბრალო ხალხი, როგორ იყო დარწმუნებული ამ სიტყვების სიმართლეში, რა გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ხელფასი, რომლითაც სული უდგას, სახლი, რომელშიც ცხოვრობს, პარტიის ზრუნვის წყალობით მიიღო. ამავე დროს კი ბინის, მკურნალობის, ყოველივე იმის ღირებულება, რაც ნაწილდებოდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით, დიდი ხანია ანაზღაურებულია მომუშავეთა მიერ. სახელმწიფოს ხომ არ შეიძლება ჰქონდეს სხვა რამ, გარდა იმისა, რასაც მისცემენ მას მომუშავეები საჭირო პროდუქტის დამატებით. და არა მარტო „დამატებით" — ჩვენ ხომ გვართმევდნენ ყოველივე იმ საჭიროს ნაწილსაც, რათა შემდეგ დაებრუნებინათ საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით. საშუალო პროპორციებსაც თუ ავიღებთ, შექმნილი ღირებულების მხოლოდ მეოთხედს აძლევენ მომუშავეს ხელფასის სახით. ზედმეტი ღირებულების ამოღების ასეთი ოდენობა არ იცის არც ერთმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ და მაშასადამე მომუშავემ, რომელიც მის მიერ შექმნილი ღირებულების 70-75 პროცენტს აძლევს სახელმწიფო ბიუჯეტსა და საწარმოთა ფონდებს, 15-30 წელს ელოდება „უფასო" ბინას. წმინდა პროდუქციაზე მოსული ხელფასის წილი სსრ კავშირში ყველაზე მცირეა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. მსოფლიო სტანდარტების მიხედვით იგი შეესაბამება დაბალ საშუალო რეალური ხელფასის დონეს, ამჟამად რომ დაუკარგავს ხარისხოვანი შრომისა და მისი ნაყოფიერების გადიდების სტიმულატორის ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები.

არავინ არ დავობს, რომ გიგანტური პარტიული საკუთრების ფორმირების ძირითად წყაროს შეადგენდა პარტიული შესატანი. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი და მთავარი წყარო. განა შეიძლება დაგვავიწყდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 1 თებერვლის დადგენილება, რომელიც მოითხოვს **„საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობები და მათ გამგებლობაში შემავალი პოლიგრაფიული საწარმოები უშუალოდ გადაეცეთ შესაბამის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს?"**

განა შეიძლება დაგვავიწყდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1979 წელს მიღებული ბრძანებულება საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაბეგვრის შესახებ, **რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის საწარმოები ამოიღეს მობეგრეთა (ე. წ. გადასახადის გადამხდელთა) რიცხვიდან? საინტერესოა, ვინ დართო ნება მინისტრთა საბჭოს ამოეღოთ ასეთი მდიდარი და მსხვილი მესაკუთრე მობეგრეთა რიცხვიდან? დღემდე ხომ მხოლოდ ფარული ეკონომიკაა ერთადერთი, რომელიც არიდებდა თავს დაბეგვრას!**

უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ პარტიას, რომელიც ყოველთვის უწოდებდა თავს საზოგადოების ავანგარდს, მის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას, არასდროს არ გამოუცხადებია თავი იურიდიულ პირად. **ამრიგად, სამართლის თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საკუთრება არალეგალური იყო.** პარტია ფლობდა საკუთრებას არა სამართლის, არამედ ძალაუფლების წყალობით. და მაშასადამე, დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არა აქვს არავითარი სამართლებრივი არგუმენტი, რომლითაც იგი დაამტკიცებდა თავისი კაპიტალის, უძრავ-მოძრავი ქონების წარმოშობას. ხალხის — როგორც სკკპ წევრების, ისე უპარტიოთა ზურგზეა აშენებული სახლები და ჯანმრთელობის კერები კომუნისტური ელიტისათვის, დღემდე ხალხის ძვლებზე დგას შენობა, რომელშიც პარტიული ორგანიზაციები თათბირობენ.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა ყველას, ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს პარტიული დაწესებულებების, პარტიის კუთვნილი შენობებისა და მატერიალური ფასეულობების მიმართ, მოსალაპარაკებლად დასხდნენ მაგიდასთან და თანასწორუფლებიანობის ატმოსფეროში გაარკვიონ ყველა სადავო საკითხი. მაგრამ რა თანასწორუფლებიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა კომპარტია ათწლეულების განმავლობაში თავზე აჯდა ხალხს, და როგორც უნდოდა ისე პარპაშებდა. ვინ ეკითხება პარტიას, რომელმაც გაიტეხა სახელი ხალხის თვალში? რომელ იურიდიულ პირს წარმოადგენს იგი? დღეს საჭიროა არა მოლაპარაკება, არამედ რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ სამართლიანად, დარბევებისა და დატაცებების გარეშე, გადაეცეს პარტიული საკუთრება ხალხს, კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას, საკავშირო საკუთრება — რესპუბლიკას. ეს ერის ხმაა და მას წინ ვერაფერი დაუდგება!

რომან ერაძე,
სს „საქართველოს" კორ.

ფოტორეპორტაჟი

Leonardo da Vinci

„აკადემიკოსები", რომლებიც ჯერ კიდევ სწავლობენ

იციით, როგორ მოიხმარეს აუქციონზე თავიანთი ნამუშევრების გაყიდვის შედეგად ამოგებული პირველი ფული ჩვენმა ნორჩმა „აკადემიკოსებმა", ან, უფრო სწორად, მომავალმა აკადემიკოსებმა, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ სწავლობენ? მთელი თანხა გადარიცხეს რესპუბლიკის ბავშვთა ფონდში, — ასე დაიწყო საუბარი თავის აღსაზრდელებზე სახვითი ხელოვნების რესპუბლიკური ბავშვთა აკადემიური სამხატვრო სტუდიის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა გურამ გუნცაძემ.

ახლახან ვაზისუბანში — თბილისის ახალმშენებლობათა რაიონში — გახსნილმა ბავშვთა სამხატვრო აკადემიამ თავის სახელოსნოებში მიიღო ასზე მეტი ნიჭიერი ბავშვი. ისინი სწავლობენ ფერწერას — ზეთს, აკვარელს, გუაშს, ქანდაკებას, გამოყენებით ხელოვნებას — კერამიკას, გობელენს, ლითონმქანდაკებლობას, საგაზეთო და საჟურნალო შრიფტებს. შვიდი კვალიფიციური პედაგოგი ასწავლის მათ ხელოვნების ისტორიას, ფერწერის თანამედროვე მიმართულებათა თეორიას.

„აკადემიკოსთა" პირველი ვერნისაჟი გაიმართა თბილისის იოსებ გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, თბილისელები მას ძველებურად უწოდებენ „ქარვასლას". ექვსასი ნამუშევარი წარმოადგინეს გამოფენაზე სტუდიელებმა. რა თქმა უნდა, ისინი ყველა ერთნაირად კარგი როდია. მაგრამ ბავშვები ხომ სწავლას ახლა იწყებენ. არადა მათ მოუწევთ სწავლა ზუსტად შვიდ წელს! (რაო, თქვენ გეგონათ, რომ პროფესიონალი მხატვარი ასე ადვილად იზრდება?) ბავშვთა აკადემიის დამთავრების შემდეგ, მათ ეძლევათ დიპლომი, რომელიც საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების მოწმობას უტოლდება. და მაშინ კურსდამთავრებულთა წინაშე ცხოვრების ფართო ასპარეზი გადაიშლება.

ალბერტ ვიგნანსკი,
სს „საქართველოს" კორ.

ანატოლი რუხაძის ფოტო (სს „საქართველოს" ფოტოქრონიკა).

ხელისუფლების დერეფნებში

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული სტატიის გამო

1990 წლის 26 დეკემბრის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ნომერში გამოქვეყნებული სტატია პირველივე სიტყვებიდან იწყება, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომებით. ნახსენებია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს იგი გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე.

ავტორს გამოაქვს მცდარი დასკვნა, როცა ამტკიცებს, რომ ამ რეგიონში პოლიტიკურმა ტემპერატურამ დუღილის წერტილს მიაღწია 1990 წლის 26 დეკემბერს. აქვე ისმება კითხვა: თუ პოლიტიკურმა ტემპერატურამ დუღილის წერტილს არ მიაღწია აქამდე, მაშინ რატომ გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ხელოვნურად შექმნილი ოლქი? ავტორი, რომელიც არ იცნობს საქართველოს ისტორიას, ამახინჯებს ფაქტებს, რომლებიც ეხება შიდა ქართლის, ესე იგი საქართველოს ტერიტორიაზე ოსი ხალხის ნაწილის გადმოსახლებას.

ალანებს (ოსებს) მე-9-მე-13 საუკუნეებში ჰქონდათ ფეოდალური სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში, მე-9 საუკუნეში მონღოლთა და მე-13 საუკუნეში თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად ამ სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა. ალანები კავკასიის ხეობებში გადასახლდნენ. მე-17-მე-18 საუკუნეებში მათი ნაწილი თანდათანობით გადმოდიოდა საქართველოს (შიდა ქართლის) ტერიტორიაზე, სადაც დამკვიდრდა. კიდეც.

შემდეგ ავტორი გადადის 1843 წლის ამბებზე, როცა მეფის რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე შექმნა ოსეთის ოლქი. ავტორი ტოვებს მთავარ ისტორიულ მომენტებს, კერძოდ, იმას, რომ პირველად მეფის რუსეთმა საქართველოს ანექსია და ოკუპაცია მოახდინა 1801 წელს, რითაც დაარღვია ორ სახელმწიფოს — რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება, ეგრეთ წოდებული „გეორგიევსკის ტრაქტატი."

ავტორის მთელი ძალისხმევა მიზნად ისახავს იმას, რომ დაამტკიცოს, თითქოს 1922 წლის 20 აპრილს, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს სამხრეთ ოსეთის ოლქი ხელოვნურად არ შექმნილა. ავტორს ეთნოკონფლიქტების მიზეზად უმართებულოდ მიაჩნია ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. პირიქით, მხოლოდ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გახდება საქართველოში ეთნოკონფლიქტების თავიდან აცილების ყველაზე მტკიცე გარანტი. როცა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებელი იყო, ტრადიციულად კეთილი ურთიერთობა ჰქონდა მთელ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მცირე ხალხთან.

ავტორი აყენებს „პატრონისა და სტუმრის" ახალ თეორიას. მას იგი მიაჩნია: ერთი მხრივ, აფხაზებსა და ქართველებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ოსებსა და ქართველებს შორის დაძაბულობის მიზეზად და „ავიწყდება" კონფლიქტების ჭეშმარიტი მიზეზი — ქართველი ერის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. გარდა ამისა, არ შეიძლება ერთი კონტექსტით განვიხილოთ აფხაზი და ოსი მოსახლეობა. ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არაა, უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან საქართველოს მკვიდრი და არამკვიდრი მოსახლეობა. ძირეული მოსახლეობის უფლებანი ირღვეოდა ყველა დროში—მეფის რუსეთის იმპერიაშიც და საბჭოთა რუსეთშიც, განსაკუთრებით 1921 წლის 25 თებერვლიდან, როცა საქართველოს ანექსია და ოკუპაცია ხელმეორედ მოახდინა უკვე საბჭოთა რუსეთმა.

სტატიაში დამახინჯებულია აგრეთვე 1989 წლის 23 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის არსი, მანიფესტაციისა, რომელიც მოაწყვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებმა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ქართველი ხალხის უფლებათა დასაცავად. არ ყოფილა არავითარი სისხლისღვრა, მშვიდობიანმა მანიფესტაციამ მშვიდობიანად დატოვა შიდა ქართლი.

საქართველოს ყოფილი ოფიციალური ხელმძღვანელობა ხელოვნურად ძაბავდა და ართულებდა სიტუაციას რეგიონში. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციისათვის.

რაც შეეხება 1990 წლის 20 სექტემბერს გამოცხადებულ დეკლარაციას ოსეთის სსრ სუვერენიტეტის შესახებ, ეს უკანონო აქტი მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. 1990 წლის 9 დეკემბერს მოწყობილი არჩევნებიც უკანონო იყო. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მხრივ ოფიციალური გაფრთხილების (იგი გამოქვეყნდა პრესაში) მიუხედავად, ეს არჩევნები მაინც გაიმართა, რითაც შეიბღალა ამ რეგიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უფლებები და ინტერესები.

ოს სეპარატისტებს ყურად რომ ეღოთ საქართველოს მთავრობის გაფრთხილება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე არც დაისმებოდა საკითხი ხელოვნურად შექმნილი ავტონომიის გაუქმების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება კანონიერი და სამართლიანი აქტი, ამ რეგიონში ქართველი მოსახლეობის უფლებათა დაცვისა და ქართველებსა და ოსებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის გარანტიაა.

ოს სეპარატისტთა მხრივ ექსცესების თავიდან ასაცილებლად გადაწყდა ცხინვალში და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღება. ავტორი ამახინჯებს ფაქტებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ შიდა ქართლში მყოფი სსრ კავშირის შინაგანი ჯარები იქ გაჩნდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საგანგებო წესების შესახებ. სინამდვილეში სსრ კავშირის ჯარები ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე იმყოფებოდნენ. კანონით გათვალისწინებული იყო საქართველოს რესპუბლიკის მილიციის თანამოქმედება სსრ კავშირის შინაგან ჯარებთან საქართველოს კანონიერი მთავრობის კონტროლით. კონტროლი თავდაპირველად ვერ დაწესდა, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აქტიური მოქმედების წყალობით ნეგატიური მოვლენები აღიკვეთა.

სტატიის ავტორი კ. ბოიალინოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნეიტრალური მოქმედება რეგიონში სტაბილიზაციის გარანტიაა. მაგრამ ეს ეგრეთ წოდებული „ნეიტრალური მოქმედება", პირიქით, შეიძლებოდა დამღუპველი აღმოჩენილიყო და გაახანგრძლივებდა კრიზისულ მდგომარეობას რეგიონში.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის სახელის გასატეხად და ცენტრის დასამშვიდებლად საქართველოს სსრ ყოფილი ეგრეთ წოდებული „მთავრობა" ცდილობდა მოეხდინა საქართველოში ვითარების დესტაბილიზაცია. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იბრძვის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ესე იგი ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის, იბრძვის ქართველი ერის უფლებებისათვის.

მაშასადამე, ავტორი ცილისმწამებლურად უწოდებს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ექსტრემიზმს. განა შეიძლება ექსტრემიზმად ჩაითვალოს ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ქართველმა ხალხმა ხომ 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, ნამდვილად დემოკრატიული არჩევნების შედეგად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას ესწრაფვის.

ბოიალინოვი სიცრუეზე დაყრდნობით ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მკითხველები და ტენდენციურად აშუქებს ამ რეგიონში მომხდარ ტრაგედიას.

საქმე ის არის, რომ ოსმა ექსტრემისტებმა მხეცურად მოკლეს რ. ურიდია და დ. ზარდიაშვილი, არა „მწვანეთა" პარტიის, არამედ მთელი საქართველოს ფაუნისა და ფლორის დაცვის საზოგადოების წევრები. მოკლულებს, როგორც ამ საზოგადოების წევრებს, ჰქონდათ იარაღის ტარების ოფიციალური ნებართვა. ხოლო რაც შეეხება ავტომატებსა და სხვა სახის იარაღს, ისინი ჰქონდათ იმათ, ვინც რ. ურიდია და დ. ზარდიაშვილი მოკლა.

ცილისწამების გაგრძელებაა ავტორის მიერ მოგდებული პროვოკაციული ჭორი, რომ თბილისსა და ცენტრს შორის იყო საიდუმლო მოლაპარაკება იმის შესახებ, თითქოს სამხრეთ ოსეთის ოლქის სანაცვლოდ საქართველო ხელს მოაწერს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ეს აშკარა სიცრუეა. საქართველოს რესპუბლიკა ხელს არ მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში. ეს ოფიციალურად განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბატონმა აკაკი ასათიანმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე.

ასე რომ, ბატონო ბოიალინოვ, ისეთ ფაქიზ საკითხებზე, როგორიც ეროვნებათშორისი ურთიერთობაა, უნდა წეროთ კომპეტენტურად და ობიექტურად, ტენდენციურობა დამღუპველია, ხოლო ობიექტურობა სიმართლისა და სამართლიანობის გარანტიაა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეს-ცენტრი.

სს „საქართველო".

სანთელი

მრავალ შობა დღეს, ქართველო ერო!

კარს მოგვადგა ქრისტიანთა ბრწყინვალე დღესასწაული —შობა უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტი მერი გაბრიაძე შეხვდა და ესაუბრა წმინდა მამადავითის წინამძღვარს, დეკანოზ მამა არჩილს.

— წლევანდელ შობას საქართველო აღნიშნავს სათნოებით, გულღიად, თავისუფლად. 7 იანვარი რესპუბლიკის პარლამენტმა დღეობად და უქმედ გამოაცხადა. ამიერიდან ყველას მიეცა უფლება შევიდეს წმინდა ტაძარში, აანთოს სანთელი და ილოცოს ამ დიდ ქრისტიანულ დღესასწაულზე. ქართული ეკლესია ამ თარიღს ყოველთვის ზეიმით აღნიშნავდა. ასე იქნება ამჯერადაც. სიონის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვას აღავლენს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. საშობაო წირვა-ლოცვა დაიწყება 6 იანვარს საღამოს 6 საათზე და დამთავრდება 7 იანვარს დილით.

გარდა სიონის საკათედრო ტაძრისა ყველა მოქმედ ეკლესიაში გაიმართება საშობაო წირვა-ლოცვა.

ვულოცავ სრულიად საქართველოს, ქართველ ერს შობის დღესასწაულს. ყოფილიყოს იგი საწინდარი ჩვენი ქვეყნის აღმავლობისა. დაე, შობის მადლმა, ჩვენმა დღევანდელმა ლოცვა-კურთხევამ მოუტანოს საქართველოს მშვიდობა და სიყვარული კაცთა შორის უფლის ძალითა და მადლით. ვისურვებდი, რომ დღევანდელი შობა ყოფილიყოს სრულიად საქართველოს და საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხთა შორის მეგობრობისა და კეთილი ურთიერთობის დამამყარებელი.

გილოცავთ ამ დღესასწაულს, გიყვარდეთ ერთმანეთი!

შობის წინ, კერძოდ 4 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადების დღეა. სრულიად საქართველო და მისი მრევლი და შვილნი მისნი ულოცავენ ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს დაბადების დღეს და უსურვებენ ერისთვის თავდადებულ მოძღვარს კვლავაც დაუშრომლად ეღვაწოს თავისი ქვეყნის სასიკეთოდ, ქვეყნად მშვიდობისა და ურთიერთსიყვარულის განსამტკიცებლად, ჩვენდა განსაწმენდად და ასამაღლებლად.

გვფარავდეს ქრისტეშობის მადლი. ჩვენთან არს ღმერთი!

რეპლიკა

სიზმარი

საახალწლოდ ყველა და ყველაფერი სიკეთით სავსე, მხიარული და საზეიმო უნდა იყოს.

ახალი წელია და იმიტომ.

მე კი პირიქით დამემართა.

რატომღაც საშინელი, შემაწუხებელი და ამავე დროს კომიკური სიზმარი ვნახე.

მესიზმრა: თბილისში, ოცდაექვსი ბაქოელი კომისრის ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი გაცოცხლდა, კვარცხლბეკიდან კომისრები გადმოვიდნენ და...

მიუხედავად იმისა, რომ პირველად არ ვწერ, ძალიან მიჭირს იმის გადმოცემა, რაც იქ ხდებოდა. არაბუნებრივად დიდი, ყოვლად უაზროდ აყუდებული ოთხი კომისარი გამვლელებს შეერია — განცვიფრებულ თბილისელებს ეკითხებოდნენ, მართლა ინგლისელებმა დაგვხვრიტეს თუ თვითონ ბოლშევიკებმაო, მიქოიანი სად არისო, ყვიროდნენ ხმაჩახლეჩილები. ერთი მათგანი, სულ მარცხნივ რომ დგას ის, ცრემლმორეული კითხულობდა, ამიხსენით ვინა ვარ, ან აქ რატომ ვდგავარო.

ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ კომისრების რიცხვი იზრდებოდა, ვიდრე ოცდაშვიდი არ გახდა.

- განცდებში გამომეღვიძა.

თბილისში ოცდაექვსი კომისრის ძეგლი დგას. არავინ იცის, რატომ და რისთვის. თუმცა არა. ყველამ კარგად ვიცით რატომაც, მაგრამ მგონი დადგა ის დღე, როცა ჩვენი ქალაქის არაფრისმთქმელი ეს ძეგლი უნდა ავიღოთ. ან,.. იქნებ იმ ოთხს (ვიცოდეთ მაინც, რომლები არიან!) დანარჩენი ოცდაორიც მივუმატოთ თავის ოცდამესამიანად, რომ ამ აღებაში ეს ოთხი არ დაგვეჩაგროს!

ჩვენ ხომ ჩამოსულ სტუმარს ვერ ავუხსნით ამ ძეგლის მნიშვნელობას. ელემენტარულად იმიტომ, რომ ოცდაექვს ბაქოელ კომისარს დღეს უკვე მნიშვნელობა და ადგილი ნამდვილად არა აქვს ჩვენს ცხოვრებაში.

მაშინ, როდესაც ბინების წესიერად გასათბობად გაზი არ გვყოფნის, რატომ უნდა ვხარჯავდეთ ენერგიას ამ ძეგლის წინ მარადიული ცეცხლისათვის.?

გასათბობად ბაქოელ კომისრებს თავიანთი ცოდვების სიმხურვალეც ეყოფათ!

კახა იაშვილი.

მუსიკა

„....მღერა ანგელოზთადმი შემსგავსებული“

ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების სიღრმე, მისი ნიჭი და სულიერი სიმდიდრე ურთულეს ხალხურ მრავალხმიან სიმღერებსა და საეკლესიო საგალობლებშია გამოსახული. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი ქართული საერო და საეკლესიო მუსიკა ერთ-ერთი უბრწყინვალესი დარგი ჩვენი წინაპრების შემოქმედებითი უნარის გამოვლინების და ჩვენი ერის სულიერი კულტურის რაობის უდიდესი ნიშანია.

ჩვენი საუკუნის განმავლობაში ქართული გალობის ტრადიცია არსებითად შეწყდა საქართველოში. ჯერ კიდევ გაბატონებულია ის ტენდენცია, რომელიც XIX საუკუნიდან მოდის, როცა 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა. დაინერგა ქართულისთვის უცხო ინტონაციებზე დამყარებული საგალობელი. თანდათანობით დამკვიდრდა შერეული ანუ ერთდროული გალობა ქალებისა და მამაკაცების, რაც სრულიად უცხო იყო ქართული გალობისთვის (ქართულ გუნდში ან ქალები გალობდნენ ცალკე, ან მამაკაცები).

XIX საუკუნიდან ჩვენი საუკუნის დამდეგამდე იგალობებოდა ჩესნიკოვის, რახმანინოვის, ლვოვსკის, არხანგელსკის საგალობლები ქართულ ტექსტზე, რაც ვერ შეედრებოდა იმ ხელოვნებას, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა მოიტანეს ჩვენამდე.

XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ დევნა დაუწყეს როგორც ქართველ სამღვდელოებას, ასევე ქართულ გალობასაც. ცნობილი და საუკეთესო მგალობლები ქართული ეკლესიისა, ისინი, ვინც შემოინახა ტრადიციები ქართული გალობისა — არტემ ერქომაიშვილი და ვარლამ სიმონიშვილი, იძულებული იყვნენ ე. წ. „საკოლმეურნეო“ გუნდების ხელმძღვანელები გამხდარიყვნენ და შეეწყვიტათ აქტიური მოღვაწეობა ეკლესიაში.

არტემ ერქომაიშვილი იყო „უკანასკნელი მოჰიკანი“ იმ ძველი მგალობლებისა, რომლებმაც ასე თუ ისე დაიმსახურეს სრული მგალობლის წოდება. 60-70-იან წლებში გამოვიდა ორი უკანასკნელი კრებული, რომლებიც კახი როსებაშვილმა არტემ ერქომაიშვილისგან ჩაიწერა და გადაიტანა ნოტებზე და ფაქტობრივად ამით წყდება ყველაფერი.

დღეს, როდესაც ტრადიცია ქართული გალობისა თითქმის მივიწყებულია, დროულად მოევლინა ჩვენს ეკლესიას მგალობელთა გუნდი მალხაზ ერქვანიძის ხელმძღვანელობით.

მალხაზ ერქვანიძე, ფოლკლორისტი: ქართულ გალობას დროზე ესაჭიროება შველა. ბუნებრივია, რომ ქართული ხელოვნების ყველა სფერომ საუკუნეთა მანძილზე განიცადა ერთგვარი უცხოური გავლენა და გამონაკლისი არც ჩვენი საეკლესიო საგალობელია.

ამჟამად ვმუშაობთ სანოტო კრებულის გამოცემაზე, რომელშიც თავმოყრილი იქნება ქართული საგალობლები. კარგი იქნება, თუ გაიხსნება მგალობელთა სკოლა, სადაც სტილისტური მთლიანობით, პროფესიული ოსტატობით შეისწავლიან ქართულ გალობას.

ედიშერ გარაყანიძე, ფოლკლორისტი: ერთ მშვენიერ დღეს, როცა საჭირო გახდა ანჩისხატის ეკლესიაში ყოფილიყო მგალობელთა გუნდი, საპატრიარქოს წარმომადგენლებს დაუფიქრებლად ვურჩიეთ მგალობლებად მიეყვანათ კონსერვატორიის სტუდენტებისაგან შემდგარი ჯგუფი მალხაზ ერქვანიძის ხელმძღვანელობით. დიდია ამ ბიჭების შეგნება და პასუხისმგებლობა ერის წინაშე, რომ ცხოვრების მთავარ მიზნად ჩვენი მამაპაპური გალობის აღდგენა დაისახეს. რამდენიმე ეკლესიაში კიდეც გამოუჩნდათ მიმდევრები.

საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ იქმნება ქრისტიანული მუსიკის ნაკადიც. რუსული ეკლესიის გზა განსხვავებულია თუნდაც იმით, რომ რუსეთმა ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობა 988 წელს აღიარა. იმ დროისათვის ქართულ გალობას თავისი ისტორიული განვითარების დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი. რაც შეეხება რუსულ ეკლესიას, გაცილებით მეტი ჰქონდა შეთვისებული ევროპულიდან და უკვე დამკვიდრებული იყო შერეული გუნდი. როდესაც ეს ორი კულტურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეხვდა ერთმანეთს, მათ შორის იმდენად დიდი იყო სხვაობა, რომ ან უნდა დარჩენილიყო ქართული, ან დამკვიდრებულიყო რუსული. იმ მომენტში მათი შერწყმა შეუძლებელი იყო. რუსული ეკლესიის ძალდატანებით მოხდა რუსული გალობის დამკვიდრება საქართველოში, თანდათანობით თავი იჩინა რუსულმა ინტონაციამ, შესრულების მანერამ.

გასული საუკუნის ჟურნალ-გაზეთებს რომ გადავხედოთ, აუცილებლად ვნახავთ ჩვენი საზოგადო მოღვაწეების მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რით განსხვავდება რუსული შესრულების მანერა ქართულისაგან. ქართული გალობა უნდა იყოს ღვთიური ჩვენი მიდგომით, ჩვენი საწყაოთი. როდესაც ქართველი კაცი ამბობს: „გალობა არს მღერა ანგელოზთადმი შემსგავსებულიო“, იმან არ შეიძლება, რომ საგალობელი სრული ძალით და ოპერის დარად იმღეროს.

ირმა ფოფხაძე.

სხვადასხვა



„ივერიის“ საახალწლო კონცერტები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სრული ანშლაგით მიდის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „ივერიას“ საახალწლო წარმოდგენები.

ბავშვები კვლავ შეხვდნენ საახალწლო ზღაპრის „ორი ჯუჯას“ საყვარელ პერსონაჟებს: ორ კონდრისკაცს, ფიფქიას, ელფებს. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის სოლისტ თამრიკო ამონაშვილთან ერთად ხელი ხელჩაკიდებულნი უვლიან ცეკვით საახალწლოდ მორთულ-მოკაზმულ ნაძვის ხეს...

სურათებზე: მღერის თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის სოლისტი მერაბ დონაძე, რომელიც ნორჩ მაყურებლებს დევის როლში წარუდგა; „ორი ჯუჯა“ — ანსამბლის სოლისტები ვახტანგ ტატიშვილი და ნუგზარ ქვაშალი.

ფოტო ბონდო დვალიშვილისა (სს „საქართველოს“ ფოტოქრონიკა).

პოლიტიკური გზაჯვარედინი

სამართლებრივი მირაჟი

1783 წელი

საქართველო, ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად ითვლება ირანის ვასალად. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ერეკლე მეორე სეპარატულ, ვასალური ხასიათის ხელშეკრულებას სდებს რუსეთის იმპერიასთან. რუსეთი არ ასრულებს გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად ნაკისრ ვალდებულებას საქართველოს სამეფოს საზღვრების დაცვის შესახებ.

1795 წელი

საქართველო თავისი ახალი სამხედრო-პოლიტიკური ნაბიჯისათვის ისჯება ირანის მიერ. აღა-მაჰმადხანი აოხრებს თბილისს.

რუსეთის იმპერია მშვიდად შესცქერის საკუთარ სახელშეკრულებო პროტექტორატში დატრიალებულ მოვლენებს.

1801 წელი

რუსეთის იმპერატორი, არღვევს რა 1783 წლის ხელშეკრულებას, ერთპიროვნულად აქვეყნებს მანიფესტს, რომლის საფუძველზე საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედის. ცნება „საქართველო“ ამოგდებულია პოლიტიკური ტერმინოლოგიიდან. იგი არ იხსენიება არც რუსეთის იმპერატორის ტიტულირებაში (იგულისხმება „სხვათა და სხვათა“ შორის).

საქართველო კარგავს სახელმწიფოებრიობას.

საერთაშორისო აზრი (საერთაშორისო სამართალი ჯერ კიდევ არ არსებობს), გაჩუმებულია. მის ცნობიერებაში, თანდათან ამოიშალა საკუთარ სახელ „საქართველოს“ შესაბამისი სუბიექტი.

1917 წლის თებერვალი

რუსეთის იმპერიამ იურიდიულად შეწყვიტა არსებობა. უპატრონოდ დარჩა მისი ყოფილი ტერიტორია. შესაბამისად, ძალადაკარგულია 1801 წლის საიმპერატორო მანიფესტიც.

საქართველოში პოლიტიკური ძალები არ არსებობს. რუსეთში მიმდინარე პროცესებს იგი ინერციით მიჰყვება.

საერთაშორისო აზრს საქართველოს საკითხი არ აინტერესებს. მიმდინარეობს პირველი მსოფლიო ომი.

1917 წლის ოქტომბერი

რუსეთში ძალაუფლებას ხელში ბოლშევიკური ხუნტა იღებს. ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი ჩაღდება. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე თავს იყრიან ქართველი სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრაქციის ავტორიტეტული წარმომადგენლები. **მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრი მიპყრობილია რუსეთის ისტორიული ტერიტორიისაკენ.** საქართველოს თავისუფალი მოქმედების საშუალება აქვს.

1918 წლის 26 მაისი

რუსეთში გრძელდება სამოქალაქო ომი.

საქართველო დამოუკიდებლობას აცხადებს.

საერთაშორისო გაერთიანება თავს იკავებს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისაგან — ელოდება რუსეთის ოფიციალურ პოზიციას საქართველოს დამოუკიდებლობისადმი.

1920 წლის 7 მაისი

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტს.

საქართველო მასთან ხელშეკრულებას სდებს სახელმწიფოებრივ დონეზე. საქართველოს დიპლომატიურ საქმიანობას ევროპის პოლიტიკურ სარბიელზე რეალური საფუძველი უჩნდება.

ერთა საერთაშორისო გაერთიანებას გზა ხსნილი აქვს და...

1921 წლის 27 იანვარი

წმინდა ნინოს სახელობის დღეს ერთა ლიგა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. სოციალისტური რუსეთი ერთი თვის განმავლობაში საქართველოს გეოგრაფიული მეზობელია.

საქართველო იურიდიულად და ფაქტობრივად იბრუნებს სახელმწიფოებრიობას. **საერთაშორისო სამართალი იძულებულია ოფიციალურად შეასრულოს თავისი მოვალეობა.**

1921 წლის 25 თებერვალი

პარიზი. ელისეს სასახლის საზეიმო ცერემონიალში საქართველოს წარგზავნილს საფრანგეთის პრეზიდენტისათვის გადასაცემად ნდობის სიგელი მიაქვს.

თბილისი. შემოდის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე არმია. საქართველო ოკუპირებულია. „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს მმართველობა გადადის „ეროვნული“ მარიონეტული ხელისუფლების ხელში.

ევროპის განმგებელი სახელმწიფოები „ნეიტრალიტეტს“ ამჯობინებენ. მათ ნებას დაქვემდებარებული, ე. წ. **საერთაშორისო სამართალი, ისევ დიპლომატიურად სდუმს.**

1922 წლის დეკემბერი

რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ყალიბდება „კავშირი“ ოკუპირებული რესპუბლიკების მარიონეტულ რეჟიმებსა და ოკუპანტს — რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. იქმნება ახალი იურიდიული სუბიექტი — საბჭოთა კავშირი.

მაოკუპირებელი სუბიექტი იურიდიული მაგიდიდან გაქრა. ოკუპანტი ოკუპირებულ რესპუბლიკებს ამოეფარა უკან. რუსეთის იმპერიამ საერთაშორისო სამართლის წინაშე იურიდიულად შენიღბული „კონსტიტუციური“ სახე შეიძინა. რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო სტრუქტურებმა საკავშირო საკანონმდებლო ორგანოებში გადაინაცვლეს.

საერთაშორისო სამართალი სცნობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, როგორც სამართალსუბიექტს.

1990 წლის 28 ოქტომბერი

საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნებში მარიონეტული რეჟიმი მარცხს განიცდის... ხელისუფლებას ეროვნული ძალები ეუფლებიან.

ასეთია დღეისათვის საქართველოსა და რუსეთის „მეგობრული“ ურთიერთობის 207 წლიანი ისტორიის მოკლე ქრონოლოგია.

საბჭოთა კავშირთან მიმართებაში საქართველოს წინაშე არსებული იდეოლოგიური, პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული პრობლემების განუსაზღვრელი რაოდენობიდან მხოლოდ პოლიტიკურზე გვინდა შევჩერდეთ.

საქართველოსათვის ამ უკიდურესად საპასუხისმგებლო მომენტში, უწინარეს ყოვლისა, სასიცოცხლოა ისეთი პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა, რომელიც შემდგომში ნაკლებად დაექვემდებარება ცვლილებებს და შესაბამისად ხელს შეუწყობს ყველა სხვა კატეგორიის პრობლემათა შედარებით უმტკივნეულოდ მოგვარებას.

გადადგმულია პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ჩვენ უკვე ვიცით, ვინ უნდა თქვას — საქართველოს უზენაესმა საბჭომ.

ახლა კიდევ, ორ პოლიტიკურ კითხვაზეა პასუხი გასაცემი: ვისთან უნდა თქვას და რა თქვას.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ გზაჯვარედინზე ვდგავართ. შევეცდები განვიხილო თითოეული გზა.

ორიენტაცია საერთაშორისო სამართალზე

ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჩაბეჭდილია, ჩემის აზრით, არამართებული წარმოდგენა საქართველოს განთავისუფლებაში საერთაშორისო სამართლის, „სახელმწიფოთა საზოგადოების“ როლის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკა, ან იგივე ობიექტი ნებისმიერი სხვა სახელწოდებით საერთაშორისო სამართლის მიერ განიხილება, როგორც საბჭოთა კავშირის, ანუ იურიდიული სუბიექტის შემადგენელი ნაწილი. **საერთაშორისო სამართალი თავის თავს ვერ გადაახტება.** საქართველოში ისედაც საკმაო ბინდია და თვალს კიდევ უფრო ნუ დავხუჭავთ. საქართველოს კოლონიურ ქვეყნად გამოცხადება ისეთივე აზრსმოკლებულად მიმაჩნია, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის დეკლარაცია. ახლა თვით საერთაშორისო სამართალზე...

„სახელმწიფოთა საზოგადოება, — წერს მიხაკო წერეთელი „ერი და კაცობრიობაში“, — ერთგვარად არ ეპყრობა თავის შვილებს. მათ შორის თანასწორობა ფიქციაა და მხოლოდ სიძლიერის მიხედვითა სცემს პატივს საერთაშორისო სამართალი თვითოეულს მათგანს. უბრალო სამართალი ამ მხრივ გაცილებით უფრო სამართლიანია“.

დიდად არც ახლა შეცვლილა არაფერი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვეტოს უფლებით მხოლოდ ძლიერნი სარგებლობენ. საერთაშორისო საკითხები კი მხოლოდ სამართალსუბიექტების მიმართ განიხილება. საბჭოთა კავშირი იმ სამართალსუბიექტთა რიცხვშია, რომლებიც ძლიერთა ვეტოს უფლებით არიან აღჭურვილნი. ნუ ვიქმნით მირაჟებს. საერთაშორისო სამართალი კიდევ უფრო „ეგრეთწოდებულია“, ვიდრე „საბჭოთა კავშირი“ ან საქართველოს საოკუპაციო (უკვე ყოფილი) ხელისუფლება. რუსეთის იმპერია საერთაშორისო სამართლის ენაზე გადაქცეულია იურიდიულ საბჭოთა კავშირად. ამავე წესით აზროვნებენ დასავლეთის პოლიტიკური სახელმწიფო მოღვაწეები ლისწინებელია ის ფაქტი, რომ სამოცდაათი წლის მანძილზე ვერ გავიხსენებთ საბჭოთა კავშირის ვერც ერთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს თვით რეიგანის ჩათვლით, რომელსაც ოფიციალურ პოლიტიკურ ლექსიკონში ყოფილიყოს „რუსეთის იმპერიის“ ტერმინით ოპერირება. საერთაშორისო სამართალი ის „მეძავი გომბიოა“, რომლის იმედზე ყოფნა დაუშვებელია. უფრო მეტიც: იგი ჭკუასაც კი ვერ დაგვარიგებს. მას შეუძლია მხოლოდ თვალყური გვადევნოს, თუ რამდენად ვართ მზად იმისათვის, რისკენაც ვისწრაფვით. ჩვენს მხარეს დაიჭერს მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე სარგებელს დაინახავს ჩვენში. ეს არის და ეს.

ვიდრე იარსებებს საბჭოთა კავშირი, საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ვერ გახდება, თუ თვით საბჭოთა კავშირმა არ ცნო იგი სამართალსუბიექტად. ეს კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მის იურისდიქციას არ წარმოადგენს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, უზენაესმა საბჭომ დღესვე უნდა იზრუნოს ევროპის ცენტრში მოკლეპერიოდული მრავალტირაჟიანი ქართული სიტყვის გავრცელებისათვის, საიდანაც პასუხი უნდა გაეცეს ყველა იმ რუსულ და რუსების მიერ პროვოცირებულ საზღვარგარეთულ ტელე თუ ნაბეჭდ პასკვილებს, რომლებიც გეგმაზომიერად ვრცელდება მსოფლიოში განსაკუთრებულად ქართული პოლიტიკური თუ კულტურული ყოფის შესახებ, საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შესაყვანად. იგი უნდა გახდეს საერთაშორისო სამართალში მონაწილე ქვეყნებისათვის ჩვენს შესახებ მართალი ინფორმაციის ერთადერთი უტყუარი წყარო. ასეთი შესანიშნავი საქმიანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია ბ-ნ ირაკლი კენჭოშვილის მიერ. აუცილებელია მისი სახელმწიფოებრივი ხელისშეწყობა და მაქსიმალური გაფართოება.

ორიენტაცია საბჭოთა კავშირზე

საბჭოთა კავშირი რომ რუსეთის იმპერიაა, ჩვენ კი ვიცით, მაგრამ იურიდიულ ენაზე ვერავის ვუმტკიცებთ. მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს ეკონომიკური და იდეოლოგიური კრახის წინაშე მდგარ სამართლებრივ ბუტაფორიას წარმოადგენს.

რაც მთავარია, საბჭოთა კავშირი ოფიციალურად არ გახლავთ საქართველოს მაოკუპირებელი სახელმწიფო. თუ ბალტიისპირა ქვეყნებმა ოკუპაცია განიცადეს საბჭოთა კავშირის მხრიდან და თავიანთი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე სწორედ მასთან უნდა აწარმოონ პოლიტიკური დიალოგი, საქართველოს მოლაპარაკება რუსეთთან მოუწევს, ვინაიდან ჩვენი ქვეყნისთვის ინტერვენტი იურიდიულად რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკაა. ამიტომ საბჭოთა კავშირის მხრიდან საქართველოს ოკუპაციის ცნობა, რაც, რასაკვირველია, წინ უნდა უძღოდეს სხვა უფრო მნიშვნელოვან მოთხოვნებს, არ გახლავთ სამართლებრივად კორექტული აქტი.

ეს არის საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური დიალოგის უაზრობის ძირითადი არგუმენტი და არა საბჭოთა იმპერიასთან, როგორც ჩვენი ყველა უბედურების მიზეზთან ბუტაფორული კონფრონტაციისა და ეროვნული დაუმორჩილებლობის პოლიტიკის გათამაშება, რომლითაც ზიანს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ თვითონ მივიღებთ. ამ პოლიტიკის მომხრეებს უნდა შევახსენოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ არის განლაგებული არც ერთი საბჭოთა კავშირისათვის სასიცოცხლო ობიექტი, რომლის გადაკეტვაც მას ხელფეხს შეუკრავდა. ასევე შესახსენებელია, ჩვენის აზრით, ის მომენტიც, რომელსაც „კლასიკური ეროვნული დაუმორჩილებლობის“ მოდელი გულისხმობს. ეს გახლავთ მეტროპოლიის საქონლის შესყიდვაზე და გამოყენებაზე უარის თქმა. ადვილი წარმოსადგენია, რას გამოიწვევს ასეთი აქცია, რამდენ ხანს გაგრძელდება იგი, ან ვის წინააღმდეგ შემოტრიალდება.

საბჭოთა კავშირის მიმართ პოლიტიკური უგულებელყოფისა და დროის გაყვანის ტაქტიკა უნდა იყოს ჩვენი მასთან ურთიერთობის ქვაკუთხედი, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად მოძრაობს თვითლიკვიდაციისაკენ!

ორიენტაცია რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაზე

სულ ახლახანს, ჩვენს თვალწინ გამოცოცხლდა და თავის ნიღაბს თუ ორეულს გამიჯნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა თავისი ეროვნული სტრუქტურებითა და მკვეთრად გამოხატული ლიდერით.

ჩვენს თვალწინაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე მთავარი დამნაშავის მემკვიდრე თავისი სახელით, გვარითა და მამის სახელით, საკავშირო მასშტაბის იურიდიული სუბიექტი.

სუვერენულად მოგვევლინა იგი საბჭოთა კავშირის — საერთაშორისო სამართალსუბიექტის შემკოწიწებელი, თავისი ფუნქციის მისთვის გადამბარებელი და მის უკან ამოფარებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის გამომგონებელი და ხელშემწყობი, საკავშირო დემაგოგიური კონსტიტუციის შემქმნელი და გამტარებელი, ინტერნაციონალური ილუზიის ორგანიზატორი და მქადაგებელი, სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღმზრდელი და განმანათლებელი, „რუსულენოვანი დემოგრაფიული ნაღმების“ პერიფერიებში დამნერგავი და გამომყენებელი.

ასეთი ახლადმოვლენილი „მამა აბრამის ბატკანი“ საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი ყველაზე მეტად არის დაჩაგრული ცენტრის დიქტატით, რომ საკავშირო სტრუქტურები ანადგურებენ მის ეკონომიკას. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გენერალ როდიონოვისეული „სამი წმინდა რუსული სიტყვა“ და არ შევეპასუხოთ მათ: კი მაგრამ, ვინ არის ამაში დამნაშავე? მოლდოვა თუ ბალტიისპირეთი, უკრაინა თუ ყაზახეთი?...

ინფორმაციის საკავშირო საშუალებები გამალებით ეძებენ დამნაშავეს, ორგანიზაცია „პამიატმა“ და რუსეთის „მოწინავე“ მწერლებმა იგი ებრაელებში იპოვეს. კინოფილმმა „მონანიებამ“ რუსი ობივატელის თვალში ქართველი ერი დაადანაშაულა რუსეთის უდანაშაულოთა მსხვერპლში. მართლაც რომ, „სხვანაირად“ მოაზროვნე სოლჟენიცინმა, ასე დაუდევრად რომ მიუშვეს უშიშროების კომიტეტის არქივებზე, მრავალწლიანი მუშაობის შედეგად ვერც ერთი რეპრესირებული ქართველი ვერ აღმოაჩინა. სამაგიეროდ, აკადემიკოსმა სახაროვმა, ამ ტიტულით ინჟინერი სახაროვის საუკუნო ცოდვის მატარებელმა სტალინური იმპერიისაგან ხალხთა „გადასარჩენად“ საქართველოს სახით „მცირე იმპერია“ აღმოაჩინა. იმას კი ვერ მიხვდა, რომ სწორედ „სტალინური აკადემიკოსის“ სახელის მოშორებით შეიძინა მცირე ინდულგენციები საკუთარი თავის მართლა გადასარჩენად.

მონანიების გზაზე დამდგარი ადამიანის უფლებების დამცველი რაინდი ვერც იმას მიხვდა, რომ მცირე ერებისათვის სამართლიანობის ძიებაში საკუთარი კონსტიტუციის პროექტით მეორე, ახლა უკვე ეთნო-დემოგრაფიული ბომბი დაუტოვა მსოფლიოს მეექვსედს.

სახაროვმა ერთმანეთისაგან „ვერ განასხვავა“ ეთნიკური ურთიერთობების შიგასახელმწიფოებრივი **დეპოლიტიზაცია** (ყოველი რესპუბლიკა წარმოადგენს სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოც, სადაც ჩვენს თვალწინ ინტენსიურად დაიწყო ამ ბუნებრივი და შესაბამისად პერსპექტიული პროცესის განვითარება) საკუთრივ რუსეთის იმპერიული **დეკოლონიზაციისაგან.**

თუ დეპოლიტიზაციას მივყევართ სახელმწიფო აღმშენებლობისაკენ, შეკავშირებისა და სიახლოვისაკენ, დეკოლონიზაციას მოაქვს იმპერიის ნგრევა, გათიშვა და გაუცხოება.

ჩემის აზრით, სამგზის „სოციალისტური შრომის გმირმა“ ანდრეი სახაროვმა ამ „აღმოჩენით“, ურთიერთ გამომრიცხავი ცნებების ხელოვნურად აღრევით, კიდევ ერთი, „ხალხთა სოციალისტური მეგობრობის“ ჯილდო დაიმსახურა სიკვდილის შემდეგ.

ბომბის შემქმნელი ვერასოდეს განსაზღვრავს მისი აფეთქების ადგილსა და დროს!

დღეს ჩვენი ეროვნული მოვალეობაა რაციონალურად გამოვიყენოთ ორსაუკუნოვანი მოძალადის მემკვიდრის ფსიქოლოგიური განწყობა. ეს ის ხალხი აღარ არის, რომელიც ერთ დროს მომღეროდა: „Мы устроим пожар мировой церкви и тюрьмы сравнение землей“, რაც დრო გავა, მათი ამბიციები უფრო დაცხრება და ჩვენთვის ხელსაყრელ ნიშნულზე დავა.

ამოწურა რა ბოლომდე თავისი პროგრესული პოლიტიკური კარიერა, რომელიც აგრეთვე გულისხმობდა მისი ადგილის ლიკვიდაციასაც, მიხეილ გორბაჩოვმა თავისი ადგილის გადარჩენისათვის, ამიერიდან შესაძლოა რეგრესზე დაიწყოს მუშაობა, თუმცა მისი საერთო ღვაწლი ისტორიისათვის ამით არ შემცირდება.

გორბაჩოვის ბორის ელცინთან „კონფლიქტური“ სიტუაცია გამოწვეულია ამ უკანასკნელის „ავანგარდიზმით“ იმ მიმდინარეობაში, რომლის ნაყოფსაც თვითონვე წარმოადგენს.

ჩვენთვის კი, რუსეთის საზოგადოებრივი ცნობიერების წიაღში მიმდინარე პროცესები არის უახლესი პოლიტიკური სტრატეგიის სამიზნე.

ჩრდილოეთით ყალიბდება მომავალი ხელსაყრელი მეზობელი, რომელსაც ჩვენი ხელით უნდა ჩამოვხსნათ ჩვენივე წილი სამარცხვინო აბრა და მის მაგივრად ვეცადოთ შევაბათ ისეთი „ეჟვანი“, რომელიც დღეს ძალიან არ იხმაურებს. ამისათვის:

1. საქართველოს უზენაესმა საბჭომ რსფსრ-თან უნდა იქონიოს დიპლომატიური სტატუსის მქონე მუდმივი წარმომადგენლობა. ჯერჯერობით თუნდაც არაოფიციალურ დონეზე.

2. ამ წარმომადგენლობის დიპლომატიის ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს რსფსრ-ს უზენაესი საბჭოს მიერ 1921 წლის 25 თებერვლის რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის დაგმობა.

ეს უნდა მოხდეს მანამ, სანამ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა ოფიციალურად შეიცვლიდეს თავის სახელწოდებას, რამაც ჩვენ კვლავ მეტად გაურკვეველ პოლიტიკურ სიტუაციაში შეიძლება აღმოგვაჩინოს. ამ ფაქტის აღიარება უნდა გახდეს საქართველოს მომავალი კეთილმეზობლური ურთიერთობის გარანტი რუსეთთან. ახალმა უზენაესმა საბჭომ რსფსრ-თან საქართველოს 1990 წლის სექტემბრის ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოახდინოს ანექსიის ფაქტის აღიარების შემდეგ.

ეს აქცია ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის, როგორც პოლიტიკური ერთეულის, კიდევ უფრო დასუსტებას მისი როლის იგნორირების საკავშირო დემონსტრაციით, ხოლო მეორეს მხრივ, საერთაშორისო სამართლის ყურადღებას გაამახვილებს ჩვენს დამოუკიდებლობისაკენ მოძრაობის მიმართ, რაც, სავარაუდოა, იურიდიულ საერთაშორისო დოკუმენტადაც კი გადაიქცეს ახლო მომავალში.

ახლა რუსეთიც ასევე პოლიტიკურ გზაჯვარედინზეა. მის წინაშეა პრობლემა: დაუდოს თუ არა თავისივე თავს — საბჭოთა კავშირს, რუსეთის შენიღბულ იმპერიას, ხელშეკრულება. რა გაეწყობა, დაკვირვებით უნდა ვუმზიროთ ამ აბსურდულ სინამდვილეს! თუ არ დაუდებს — ყველაფერი მალე დამთავრდება, ხოლო თუ დაუდებს, მაშინ შენარჩუნდება პრეზიდენტის უფლება-მოსილება, რომელსაც თურმე (როგორც ახლახან გავიგეთ იაზოვისაგან), დაემორჩილება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები და დაიცავენ ე. წ. „ხალხს“. თუ რომელიღაც ხალხის დაცვას აპირებს თავდაცვის მინისტრი, მას არ დაუზუსტებია. არადა, მართლაც იყო საჭირო, რადგან „საბჭოთა ხალხის“ ტერმინის გამოყენება ძველებურად სალეჭი რეზინასავით ველარ შეასრულებს დემაგოგიურ იდეოლოგიურ ფუნქციას.

ყველა შემთხვევაში, ჩემი ღრმა რწმენით, ეს ყოველივე დაგვიანებული ფსიქოლოგიური დაწოლის ხასიათს ატარებს. იგი გორბაჩოვის მორიგი „რევერანსია“ იმპერიის მიმართ. ასევე ღრმად ვარ დარწმუნებული მასში, რომ ამ პოლიტიკაში მონაწილე ძალებს კარგად აქვთ შეგნებული, **რომ ძალისმიერი მეთოდები გაცილებით უფრო დააჩქარებს იმ პროცესებს, რომლის განვითარებაც მათ ხელს არ აძლევთ.**

3. მხოლოდ ასეთი შეთანხმების შემდეგ შეიძლება გავმართოთ დიალოგი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის არასამართლებრიობაზე, როგორც თვით საბჭოთა კავშირთან (თუ ასეთი კიდევ იარსებებს), ისე საერთაშორისო სამართალთან.

ასეთი თანამიმდევრულობა მიმაჩნია საქართველოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ტენდენციად, რომელსაც, შესაძლოა სხვა სფეროებშიც მოჰყვეს დღეს გაუთვალისწინებელი მრავალი სიკეთე.

ბაიოზ ერაძე

რედაქციისაგან: ზემოთ დასმულ საკითხებზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ამიტომ რედაქცია ელის კომპეტენტურ, კონსტრუქციულ გამოხმაურებებს.

აკაკი

„სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი მიკურთხოს ზენამ“...

— **ამ** სიტყვებით მიმართა ვაჟა-ფშაველამ აკაკი წერეთელს, რომლის გული სამშობლოსთვის ძგერდა, შემოქმედება კი ზნეობრივ მაგალითს აძლევდა თანამედროვეებს. აკაკი და საქართველო ისეთი ბუნებრივი და კანონზომიერი ცნებებია, როგორც თვით სიცოცხლე, როგორც ჰაერი და წყალი. იშვიათად თუ რგებია ვინმეს ხალხის ისეთი აღიარება და სიყვარული, როგორიც წილად ხვდა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ აკაკის. ყოველი მისი სტრიქონი, ყოველი მისი სიტყვა გულში ჩვდებოდა ქართველს, მასში პოულობდა სულიერ საზრდოს, გამამხნევებელ ძალას, და ცხოვრების ყველაზე ძნელ წუთებში მას მიმართავდა. როგორ გაფრთხილებად ჟღერს დღეს ჩვენი დიდი წინაპრის ბრძნული შეგონება: „ღვთის მადლსა, რა დროს ეგ არის, ძმა ძმაზე ლესავს ხანჯალსა“. აკაკი სიტყვითა და საქმით იყო ერთობის, ძმობის, მეგობრობის მეხოტბე და შთამომავლობას უანდერძა ამ წმინდა გრძნობების ერთგულება.

აკაკი პოეზიის ზნეობრივად დიდ მოვალეობას აკისრებდა, თავად კი ჩვეული უბრალოებით და სისადავით ბრძანებდა: „შუა კაცი ვარ უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან ცისაო“. ამით მშობლიურ ერს, რომლის სამსახურიც უზენაეს მოვალეობად მიაჩნდა, კვლავ და კვლავ ეფიცებოდა ერთგულებას, სიყვარულს, უანგარო სამსახურს.

დღეს დიდი პოეტის შთამომავლებს თავისუფლებისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე მანათობელ შუქურად მიჰყვებათ უკვდავი სტრიქონები კაცისა, რომელიც სულ იმის ნატვრაში იყო, რომ „ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელსო“.

აკაკის 150 წლისთავი აღინიშნება სწორედ იმ დღეებში, როცა საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამს თავისუფლების გზაზე და სწორედ ეს არის პოეტის ანდერძის აღსრულება. მისი მარად უკვდავი სახელის ცოცხალი ძეგლი.

ეს ითქვა 20 დეკემბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სესიაზე, რომლითაც ამ უძველეს უმაღლეს სასწავლებელში დაიწყო აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეები.

საიუბილეო სესიაზე გამოვიდნენ პროფესორები ელგუჯა ხინთიბიძე, სოლომონ ხუციშვილი, კორნელი დანელია, რევაზ მიშველაძე, ბეჟან ბარდაველიძე, დოცენტი სოლომე ყუბანეიშვილი, უფროსი მასწავლებელი ზაურ მეძველია. სწავლულთა მოხსენებებმა შეკრებილთ გადაუშალა აკაკის უმდიდრესი მემკვიდრეობის ფურცლები და კიდევ ერთხელ შეგვახვედრა დიდი პოეტის შემოქმედებასთან. იმათთან, ვინც თავის დიდ თანამებრძოლთან ილია ჭავჭავაძესთან ერთად დაუღალავად და ერთგულად ზიდა სამშობლოს, მშობელი ერის სამსახურის მძიმე და საპატიო ტვირთი. ილიასა და აკაკის მიერ გაკვალული გზა ჭეშმარიტი და ულალატო, და ამ გზით მიმავალი თანამედროვენი უეჭველად მოესწრებიან იმ მაღალი იდეალის გამარჯვებას, რომელსაც ერის დიდმა შვილებმა მთლიანად მიუძღვნეს თავიანთი უბადლო ნიჭი, მდიდარი შემოქმედება და თვით სიცოცხლეც.

მერი გაბრიაძე,
სს „საქართველოს“ კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედი

ერთობლივი პროექტი — „ინიციატივა „საქართველო“

AMERICAN-GEORGIAN INNOVATION TEAM
განახლების ქართულ-ამერიკული დასი

ახლახან თბილისში გაიმართა საერთაშორისო სემინარი, რომელიც „ინიციატივა „საქართველოს“ პროექტით იყო გათვალისწინებული. სემინარის ორგანიზატორები იყვნენ განახლების ქართულ-ამერიკული დასი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღსანიშნავია, რომ სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დასის ამერიკული ჯგუფის თავმჯდომარემ ბარბარა ჰაბარდმა და ვაშინგტონის ევოლუციური სამსახურის ინსტიტუტის დირექტორმა ლოურენს დე ბივომ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ განახლების ქართულ-ამერიკული დასის თავმჯდომარის მოადგილეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების ლაბორატორიის განყოფილების გამგეს, ბატონ ირაკლი ბოკუჩავას.

— ბატონო ირაკლი, ვიდრე სემინარის მუშაობას შევეხებოდეთ, იქნებ ორიოდე სიტყვით გაგეცნოთ მკითხველისათვის განახლების ქართულ-ამერიკული დასი.

— ამის შესახებ პრესაში უკვე იყო ინფორმაცია, ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ. ეს გახლავთ აშშ-სა და საქართველოს მოქალაქეთა ინიციატივასა და სახალხო დიპლომატიის ბაზაზე შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს განმაახლებლური იდეების ხელშეწყობასა და დანერგვას საქართველოში. კონკრეტულად ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. დასის თავმჯდომარეები არიან მწერალი და პოლიტოლოგი ბარბარა ჰაბარდი (აშშ) და ქართველი ტელეჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე. დასი ჩამოყალიბდა გაზაფხულზე, ოფიციალურად კი რეგისტრირებულია ოქტომბერში. ახლა საორგანიზაციო მუშაობა მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არავითარი ფინანსური მხარდაჭერა არა გვაქვს, გასულ ზაფხულს, ვაშინგტონში ჩვენი ვიზიტისას მოხერხდა ერთობლივი გლობალური განვითარების პროექტის „ინიციატივა „საქართველოს“ შემუშავება. მე საშუალება მქონდა გ. წ. ივლისში გაზეთ „თბილისის“ მკითხველისათვის დეტალურად მომეთხრო ამის შესახებ.

— როგორც ვიცით, საერთაშორისო სემინარი სწორედ ამ პროექტს მიეძღვნა. როგორ ჩატარდა იგი და საერთოდ, ხომ ვერ გვეტყოდით, რამ გამოიწვია ამერიკელთა ასეთი დაინტერესება საქართველოთი?

— ჯერ დაინტერესებაზე მოგახსენებთ. როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ახლა უკვე აღარც ის არის საიდუმლო, რომ დასავლეთის და კერძოდ ამერიკის ინტერესების ცენტრი რესპუბლიკებისაკენ ინაცვლებს. უთუოდ ამითაც იქნებოდა განპირობებული გაზაფხულზევე ჩვენით დაინტერესება. ინტერესის სუბიექტად გახდომიდან გზა უკვე სამართლის სუბიექტად გახდომისაკენ მიდის... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საქართველოსათვის მეტად სასარგებლო და სასურველი პროცესებია.

ახლა კი თავად „ინიციატივა „საქართველოს“ შესახებ. თუ ჩვენ ვაპირებთ განვითარებული მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვას, მოგვიწევს ჩვენში ახლა არსებული ყველა სასიცოცხლო სისტემის შეცვლა იმ მიმართულებით, რომ ისინი განვითარებული ქვეყნების სისტემებთან თავსებადი გავხადოთ. ლაპარაკია ისეთ სისტემებზე, როგორიცაა კომერცია და ბიზნესი, ჯანდაცვისა და განათლების სისტემა, კომუნიკაცია და სოფლის მეურნეობა და ა. შ. თანაც ერთ ან ორ ზემოთ ჩამოთვლილ დარგზე ყურადღების გამახვილება სასურველ ეფექტს ვერ მოიტანს. საჭიროა ე. წ. სისტემური მიდგომა, გლობალური ცვლილებების პროექტის შემუშავება. „ინიციატივა „საქართველო“ სწორედ ასეთი გარდაქმნის საშუალებათა ძიებას ისახავს მიზნად. რა თქმა უნდა, მსოფლიოში საკმაო გამოცდილება აქვთ ასეთი დახმარების საქმეში. გთხოვთ, სწორად გამიგოთ, ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას, ეს შემდგომი ეტაპია. როდესაც უკვე განსაზღვრულია ქვეყნის განვითარების, მისი ყველა სასიცოცხლო სტრუქტურის ურთიერთშეთანხმებული ევოლუციური ცვლილების სტრატეგია, და ჩვენი აზრით, ეს არის უმთავრესი, ამის შემდეგ შეიძლება კონკრეტული პროექტების რეალიზაციაზე და ხელსაყრელი პარტნიორების მოწვევაზე ლაპარაკი. ისე არ უნდა გამოგვივიდეს, რომ თითოეული უწყების, საწარმოს ინტერესები და ლოკალური წარმატების ძიება საერთო საქმეს არ წაადგეს. სწორედ ამისათვის მიგვაჩნია საჭიროდ შეწონასწორებული სტრატეგიული განვითარების გლობალური გეგმის არსებობა.

— კი, მაგრამ ხომ არსებობს საქართველოს განვითარების სხვადასხვაგვარი ეკონომიკური კონცეფციები, პროექტები, პლატფორმები...

— მე კონცეფციებზე არ მოგახსენებთ. ფაქტია, რომ დღეს საბჭოთა კავშირში შემავალ არც ერთ რესპუბლიკას, რესურსებით უმდიდრეს რუსეთსაც კი, დამოუკიდებლად კრიზისიდან გამოსვლა არ შეუძლია. ყველას თვალი დასავლეთისაკენ უჭირავს. ომისშემდგომი ევროპის, იაპონიის, უფრო გვიანდელი კორეის, ტაივანის, სინგაპურის მაგალითები თვალწინ გვაქვს... ამ ქვეყნებს ამერიკამ ჯერ სტრატეგიული განვითარების გეგმების შექმნაში შეუწყო ხელი, რასაც შემდგომ მსხვილი ინვესტიციები მოჰყვა... თანაც დღევანდელ მსოფლიოში ძალთა და კაპიტალის გადანაწილება სულ სხვანაირია. ფულის დაბანდებას არავინ ჩქარობს, თუ არ არის გარკვეული, კონკრეტულად სად და რას ხმარდება ეს ფული. გარდა ამისა, ჩვენს სემინარზე ეს არაერთხელ აღინიშნა, არავითარი მარშალის გეგმა არ არის მოსალოდნელი. ჩვენ საკუთარი ძალებით უნდა მოვახერხოთ კრიზისიდან გამოსვლა. ამერიკელები კრიზისის დაძლევის გზების ძიებაში დაგვეხმარებიან. ეს გახლავთ საკონსულტაციო სამსახური, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ სამსახურად ითვლება დასავლეთში და რომელსაც ჩვენში ამჟამად ფასი საერთოდ არა აქვს. ასეთ სამსახურში ზემოხსენებული ქვეყნების მთავრობებმა უდიდესი თანხები გადაიხადეს. ჩვენ კი ჯერჯერობით ასეთ კონსულტაციებს უფასოდ ვიღებთ. ეს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაში უაღრესად ხელსაყრელი თანამშრომლობაა.

ახლა რაც შეეხება სემინარს. „ინიციატივა „საქართველო“ ითვალისწინებს რამდენიმე სამუშაო ჯგუფის შექმნას. კერძოდ, ერთია ე. წ. **აღწერის ჯგუფი**, რომელიც აპირებს სრულად შეისწავლოს საქართველოს რესურსული პოტენციალი. ნებისმიერი რთული სტრუქტურის განვითარება ან შეცვლა შეუძლებელია რეალური, სანდო მონაცემების გარეშე. მით უფრო, როცა საქმე მთელ ქვეყანას ეხება. თანაც ეს მონაცემები საერთაშორისო სტანდარტების დონეზე უნდა იყოს აკრეფილი, რათა თავსებადი იყოს შედარებითი მიზნით სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან. ეს ურთულესი საქმეა, მაგრამ უამისოდ ვერც ერთი კონკრეტული გეგმა, მით უმეტეს, შორს გამიზნული კონცეფცია ვერ ჩამოყალიბდება, რამეთუ იგი სწორ მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს. ამ სემინარზე ჩვენ შევძელით ჩამოგვეყალიბებინა საინიციატივო ჯგუფი, შედგენილი ეკონომისტების, გეოგრაფების, მათემატიკოსების, ინფორმატიკის დარგის სპეციალისტებისაგან, რომლებიც მზად არიან შეუდგნენ ქვეყნის ინვენტარიზაციის მეთოდიკის დამუშავებას გაეროს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. ამ საქმეში ჩვენი სტუდენტების დახმარების დიდი იმედი გვაქვს, მათი ენთუზიაზმი და თანადგომის სურვილი უკვე ვიგრძენით.

გარდა ამისა, სემინარზე გამოიკვეთა თანამედროვე ლიდერობისა და მენეჯმენტის სკოლის დაარსების კონკრეტული გეგმა, რომელშიც ამერიკელი სპეციალისტები ჩაატარებენ მეცადინეობებს ამ დარგებში უახლესი მიღწევების დონეზე. აქვე შევა კონსულტაციები პრივატიზაციის, საბანკო საქმის, სააქციო საქმიანობისა და სხვათა შესახებ. ჩვენი ვალია დავახვედროთ მსმენელთა ჯგუფი, რომელიც „გაუძლებს“ ყოველდღიურ 10-12-საათიან მეცადინეობებს 2-3 კვირის განმავლობაში.

სემინარზე რამდენიმე სხდომა მიეძღვნა სოციალური თანხმობის საკითხებს. ეს ის უმთავრესი პირობაა, რომელსაც კონკრეტული მეწარმეების რეალური დაინტერესება უნდა მოჰყვეს. ქ-ნ ბარბარა ჰაბარდს ამ თემაზე საინტერესო მოსაზრებები ჰქონდა... ამის თაობაზე ამას წინათ გაზეთმა „7 დღემ“ მოუთხრო მკითხველებს და ამიტომ აღარ შევჩერდები. აქაც შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი.

უაღრესად საინტერესო იყო შემოქმედებითი სწავლების ჯგუფის წევრებთან შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა ის ახალი მიმართულებანი, რომლებიც ახლა ამერიკის სკოლებში ინერგება. გამოყენებითი ფსიქოლოგიის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით ამერიკელ კოლეგებთან ფართო კონტაქტების პერსპექტივები დაისახა.

აი, მოკლედ ამ სემინარის მუშაობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ მის მუშაობაში ჩვენი საზოგადოების მეტად ფართო წრეებმა მიიღეს მონაწილეობა — აქ იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, საქმიანი და სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკები, მეცნიერები, სტუდენტობა...

— თქვენ ზემოთ ბრძანეთ, რომ შეგიძლიათ ქვეყნის ინვენტარიზაცია ჩაატაროთ...

— ჩვენი საინიციატივო ჯგუფი მზად არის დაიწყოს ასეთი სამუშაოები, გვაქვს ჩამოყალიბებული გეგმა, თუ როგორ შევუდგეთ აღწერის სამუშაოებს. სხვათა შორის, ჩვენი წინადადებები შევთავაზეთ როგორც პარლამენტს, ასევე მთავრობას. თუ რა ტემპით წავა საქმე, დამოკიდებულია იმ მხარდაჭერაზე, რომელიც მათი მხრიდან გვექნება.

— დავუბრუნდეთ ისევ სემინარს. როგორ შეაფასებდით მის შედეგებს, რა კონკრეტული ამოცანები და დახმარების პერსპექტივები დაისახა?

— ასეთ კითხვას ხშირად მისვამენ — რა კონკრეტულ დახმარებას გვპირდებიანო თქვენი ამერიკელები? მე მგონი, კითხვა არ არის მართებული. ჩვენ არავინ დაგვეხმარება, თუ საკუთარ თავს თვითონ არ მივხედეთ, უწინარესად — ჩვენი საქმიანობის სწორი ორგანიზაციით. ხალხს უდაბნოში მოჰყავს მოსავალი, ჩვენ წალკოტშიც ვერ მოგვიყვანია... იაპონელების მაგალითია მისაბაძი — შრომა და სწავლა ყოველივე იმ სიკეთისა, რომელიც ცივილიზებულ მსოფლიოს აქვს. ყველაფერი რომ გაითავისეს და მსოფლიო იაპონურ ფენომენზე აალაპარაკეს, მხოლოდ მერე გაუჩნდათ სიამაყის გრძნობა. ჩვენ კი პირიქით გვემართება — ჯერ ვამაყობთ, ქვეყანას ვუმტკიცებთ, კარგები ვართო, საამისოდ კი ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, შრომა უნდა ვისწავლოთ იაპონურად, თუ გვინდა მინიმალურ დროში ამ კრიზისიდან გამოსვლა. ალბათ უძნელესი საქმეა თავად ჩვენი გადაკეთება, ჩვენი აზროვნების სტილის შეცვლა... ამიტომაც გვიჭიანურდება პროცესები. სხვისი მხრიდან რა დახმარებაზე შეიძლება ფიქრი, თუ თავად არ გსურს თავს დაეხმარო... ასე რომ, ის, ვინც „ინიციატივა „საქართველოსაგან“ მხოლოდ გარედან ელის დახმარებას, ცდება, „ინიციატივა „საქართველოს“ საქართველოს დახმარება სჭირდება.

სხვათა შორის, ჩვენი სემინარის ერთ-ერთი დადებითი შედეგი, და ამაში ბევრი ქართველი მონაწილე დარწმუნდა — სწორედ ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენა და საინტერესო იდეების მქონე ხალხის თავმოყრა და ერთმანეთთან გაცნობაც გახლდათ. ასე შევაჯამებდი ამ სემინარის შედეგებს.

— ბატონო ირაკლი, თქვენი აზრით, რამ შეიძლება შეუშალოს ხელი თანამშრომლობას?

— უამრავ შინაგან და საგარეო ფაქტორს შეუძლია განახლების პროცესების შეფერხება. მაგრამ მე სულ სხვა ფაქტორზე მოგახსენებთ, რომელზეც სწორედ ამერიკელმა კოლეგებმა გაამახვილეს ყურადღება, ჩემთვის ფრიად მოულოდნელზე. დაძაბული მუშაობის დროს ერთი დღე ექსკურსიას დავუთმეთ — მცხეთას ვეწვიეთ. როდესაც ჩვენი გიდი, ექსტაზში შესული, სიამაყით მოუთხრობდა სტუმრებს ჩვენს წარსულზე და ჩვენც მათ გაოცებასა და აღტაცებას ველოდით ჯვრითა და სვეტიცხოვლით, მათი მხრიდან ასეთი პრაგმატული კითხვა გაისმა: ძალიან დიდ ყურადღებას ხომ არ უთმობთ თქვენს წარსულს და ნაკლებს — მომავალს? ეს ყველაფერი დიდებულია, მაგრამ ხომ არ გამძიმებთ ეს წარსული და ნაკლები დრო ხომ არ გრჩებათ აწმყოს რეალობებში გასარკვევად. წარმოიდგინეთ, როგორი რეაქცია გვექნებოდა ასეთ რეპლიკაზე, მაგრამ მას აქეთ არ მასვენებს ფიქრი, რომ ამ ნათქვამში სიმართლეც ურევია. ჩვენი რომანტიზმის ბურუსიდან გამომყვანი სიმართლე... ყოველ შემთხვევაში, უფრო წინ გვმართებს ყურება, ვიდრე უკან...

— იქნებ ხელშემწყობ პირობებზეც გვეთქვათ ორიოდე სიტყვა?

— ალბათ, ორიგინალური არ ვიქნები, თუ უწინარესად სოციალ-პოლიტიკურ სტაბილურობას დავასახელებ. შემდეგ, ჩვენ უნდა ვიქცეთ სერიოზულ პარტნიორებად, ე. ი. გამოკვეთილად ვიცოდეთ, თუ როდის, რა ეტაპზე რა გვინდა, რა გვჭირდება, რამდენი და ა. შ. და არა აბსტრაქტული თავისუფლება, კარგი ცხოვრება ხალხისათვის და სხვა. სერიოზულ პარტნიორებად რომ ვიქცეთ, საჭიროა საქართველოში შესაბამისი კანონების გამოცემა, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენს საგარეო ურთიერთობებს და დაარწმუნებს ჩვენს უცხოელ კოლეგებს, — რომ საიმედო და ცივილიზებული ქვეყანა ვართ და საყოველთაოდ აღიარებულ წესებს ვემორჩილებით. როგორც ახლა ამბობენ, მისაღებია მთელი პაკეტი კანონებისა, რომელიც ჩვენს პარტნიორებს თავიანთი ნოუ-ჰაუს დაცულობაში დაარწმუნებს და მოხსნის უამრავ ბიუროკრატიულ ბარიერს. ამას გარდა, არსებითია ცოდნის ის მარაგი, რომელიც ტოლი ტოლად დაგველაპარაკებს მათთან. აქ, როგორც მოგახსენეთ, კონსულტაციების იმედი გვაქვს. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, დასავლელი პარტნიორის რისკის დონეს ჩამოიყვანს დასაშვებ ზღვრამდე და მაშინ შეიძლება ფიქრი სერიოზულ თანამშრომლობაზე...

— თქვენ წეღან ბრძანეთ, ჯერჯერობით ფინანსური მხარდაჭერა არა გვაქვსო, მხოლოდ ენთუზიაზმით აპირებთ პროექტზე მუშაობის გაგრძელებას?

— ენთუზიაზმმა, რა თქმა უნდა, ორივე მხრიდან თავისი ამოწურა... საზოგადოების მხარდაჭერის იმედი გვაქვს. ისიც კარგად გვესმის, რომ ახლა, უამრავი ასოციაციისა და სხვადასხვა ორგანიზაციის ასეთი მოზღვავების ჟამს ძნელია მხოლოდ ქველმოქმედების იმედად იყო. ჩვენი საზოგადოების ნაწილმა ისედაც დიდი მუშაობა გასწია უანგაროდ, ბევრიც გვპირდება ახალ მხარდაჭერას, მათ შორის ფინანსურსაც. განახლების ქართულ-ამერიკული დასის ფუნქციებში საქართველოს ორგანიზაციებისათვის მათთვის საინტერესო ამერიკელ პარტნიორებთან კონტაქტების შეთავაზებაც შედის. დასის თავმჯდომარე ნუგზარ რუხაძე დღესაც ატლანტის ტელევიზიაში მუშაობს...

მაგრამ, ვიმეორებ, უმთავრესი მაინც „ინიციატივა „საქართველოა“. თუ ამ სტრატეგიული განვითარების პროექტის შემუშავება დროულად შევძელით, მაშინ იგი ჩვენ სერიოზულ პარტნიორებად გადაგვაქცევს და შეიძლება უმსხვილესი კომპანიების დაინტერესებაც, და არა მხოლოდ წვრილფეხა ფირმებისა. ამას გარდა, „ინიციატივა „საქართველო“ ითვალისწინებს მოქალაქეთა კონტაქტებს სპეციალისტების, სტუდენტების, ბავშვების დონეზეც... ერთი სიტყვით, ზრახვები დიდი გვაქვს...

ეკა იმედაძე.

განახლების ქართულ-ამერიკული დასის რეკვიზიტებია
საქართველოს კომერციული ბანკი.
„ივერთბანკი“, კოდი 521921.
ანგარიშის ნომერი 000161700 (700122).

სურათზე: განახლების ქართულ-ამერიკული დასის ემბლემა.

ორი ლექსი საახალწლოდ

ჯანსუღ ჩარკვიანი

ბრძოლის წინ

წინკართან დავჰყრით
ქარქაშებს,
ხანჯლებში მტრის ჯავრი სწვავთავს,
ქართული გორდა კაშკაშებს,
ქართველი კაცის მწედი.

უღვთოდ სული რომ არ დაშრეს
თვალებს მივაპყრობთ მცხეთას,
ღმერთი ჩვენშია, მაგრამ ჩვენ,
მაგრამ ჩვენ თუ ვართ ღმერთთან?

მზე

კალო არის და კევრია,
სამკალი? ღმერთო მომკალი,
სამკალი ბევრზე ბევრია —
ცოტანი დავრჩით მომკალნი.

ვის მზე უნათებს ნისიად,
ვის კიდე თვალი ურმისა,
ყველა მოკვდავი ღირსია
თავისი საზღაურისა.

მონა მოკვდება მონადვე.
მზეს ნახავთ ბნელთან შებმულსა,
ხვალ საქართველოს მოგართმევთ
დაგვილს და დამშვენებულსა.

1990 წელი, დეკემბერი.

საზღვარგარეთ

მთავარი სულ სხვაა

მოსკოვში აკრედიტებულმა ამერიკელმა ჟურნალისტებმა ხმა დაყარეს: როგორც კი შევარდნაძეს სენსაციურმა განცხადებამ ვაშინგტონს ჩააღწია, სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა მოსკოვში თავის ელჩს მეტლოკს დაურეკა საგანგებო დავალებით — „ჰკითხეთ ედის, რა აქვს ჩაფიქრებული“. არ ვიცი, მართლა იყო თუ არა ასეთი დავალება, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევრი ჩააგდო საგონებელში.

ჩვენ ისეთ ქვეყანაში და, რაც მთავარია, ისეთ დროში მოგვიხდა ცხოვრება, რომ ძნელია რამემ გააკვირვოს კაცი, მით უმეტეს, რომ შევარდნაძის წასვლა სმოლენსკის მოედნიდან ბევრისათვის არ უნდა იყოს მოულოდნელი. ისიც ცხადია, რომ რაც არ უნდა იფიცოს ასეთ შემთხვევაში გორბაჩოვმა თუ მაღალი რანგის სხვა ფუნქციონერმა, საგარეო პოლიტიკა უცვლელი დარჩებაო, ძნელად, მათ ვინმემ დაუჯეროს. თუკი საერთო აღიარებით გარდაქმნის მთავარი აქტივი და დივიდენდი სწორედ საგარეო პოლიტიკის სფეროში იგრძნობა, თუ კი აქ ყველაფერი წესრიგშია, მაშ ვინ და რატომ აიძულა შინ და გარეთ პოპულარული მინისტრი კარის ასეთი გაჯახუნებით წასულიყო (ყოველ შემთხვევაში ასეთი განცხადება გაეკეთებინა?). უფრო მეტიც — რატომ ჰქონდა გორბაჩოვს გადაწყვეტილი მისი ჩამოშორება საგარეო პოლიტიკის სფეროსაგან და შექმნილ სიტუაციაში საეჭვო ღირსებისა და ღირებულების თანამდებობაზე გადაყვანა? რა, მინისტრის თმის ვარცხნილობა აღიზიანებს მელოტ პრეზიდენტს თუ ქართულ აქცენტს ვეღარ იტანს? ვერ დავეთანხმები ბატონ აკაკი ბაქრაძეს იმაში, რომ საბჭოთა კავშირში ვიცე-პრეზიდენტის პოსტი „ცარიელი ადგილი“ იქნება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; როგორც ჩანს, მას ყველაზე რთული და შეიძლება გადაუჭრელი მისია დაეკისრება — საშინაო საქმეები, ე. ი. ეთნოკრიზისებით დაწყებული და სამოკავშირეო ხელშეკრულების რეალიზაციითა და საერთოდ „კავშირის“ შენარჩუნება-გამტკიცებით დამთავრებული. უკვე ცხადია, რომ საბჭოთა ვიცე-პრეზიდენტი „საცემი ბიჭი“ იქნება, გორბაჩოვი კი, ასე თუ ისე, მეტნაკლებად განთავისუფლდება საკუთარი კურსის ყველაზე მძაფრი კრიტიკისაგან. პრეზიდენტის მხრიდან ასეთი სვლა ბუნებრივი და იოლი ასახსნელია, — არავინ უწყის ხვალ რაზე აიძულებს მას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და ნობელის პრემიის ლაურეატს არ ეკადრება რეპრესიებთან გაიგივება. ჰო, რომ ფუნქციები უკვე განაწილებულია — თუკი რამ დადებითი შედეგი მოჰყვა გარდაქმნას (ბუნებრივია იგულისხმება საგარეო პოლიტიკა), პრეზიდენტს უნდა ჩაეთვალოს პირად დამსახურებად, ხოლო საშინაო კოლიზიებისათვის (დაწყებული იმპერიის რღვევით და დამთავრებული ცარიელი დახლებით) კი ვიცე-პრეზიდენტმა უნდა აგოს პასუხი. ასეთი პასიანსი ამ ეტაპზე უნდა აწყობდეთ მათ, ვისი სახელითაც ფაქტობრივად იყეფებიან „მეამბოხე“ პოლკოვნიკები. ეს არ უნდა აწყობდეს მხოლოდ საცემად გამზადებულ ბიჭს და გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ მისი დემარში, ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, მხედრის სვლაა.

აქვს კი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს საბაბი უკმაყოფილო იყოს გორბაჩოვის პოლიტიკით? გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა; ჩემის აზრით, ყველაზე „დაუვარცხნელი“. მაშინ ბევრმა გულუბრყვილო დეპუტატმა მართლაც ირწმუნა, რომ კლასიკური დემოკრატიული პარლამენტის კედლებში იმყოფებოდა და მოგეცათ ლხენა, მოხსნა გუდას თავი. წარსულში ლეგენდარულმა ძალოსანმა და ამჟამად მწერალმა ი. ვლასოვმა უშიშროების კომიტეტს „გადაუარა“, აკადემიკოსმა გ. არბატოვმა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი გამოიყვანა სააშკარაოზე, მწერლები კი კოსმოსურ პროგრამებს მისიენ. ყველაზე საინტერესო მაშინ ის იყო, რომ სპეციალურ ტელე-გადაცემებში, ე. წ. „ყრილობის დღიურებში“, სამხედროები კი არა, სამოქალაქო მეცნიერები იცავდნენ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და კოსმოსური რაკეტებისა და ხომალდებისათვის საჭირო ფანტასტიკურ ასიგნებებსაც. ნურავინ იფიქრებს, რომ განიარაღება (რომელიც კოსმოსის კვლევის სფეროსაც ეხება) მხოლოდ გენერალიტეტის ინტერესებს ემუქრება. ამიტომაც არის, რომ ერთის მხრივ აშკარად კლებულობს ომის საფრთხე, ხოლო მეორეს მხრივ კი საბჭოთა ეკონომიკა ისევეა მილიტარიზებული, როგორც 10-15 წლის წინ იყო. კვლავინდებურად შეუღწეველი საიდუმლოებით არის მოცული სამხედრო ბიუჯეტი — სხვადასხვა ციფრს ასახელებს (70-დან 230 მილიარდ მანეთამდე) სხვადასხვა წყარო. თუ მართლაც დაიწყო საბჭოთა კავშირში 1985 წელს გარდაქმნა და დემოკრატიზაციის პროცესი, ხუთი წელი სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო თუნდაც იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შემცირებულიყო სამხედრო მუნდირთა რაოდენობა პარლამენტში. გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდათ ესპანეთში, საბერძნეთში, თვით ჩილეშიც კი დემოკრატიის საძირკვლის გამტკიცებისათვის. ე. ი. გორბაჩოვის გარდაქმნა და დემოკრატია იმთავითვე მოჩვენებითი იყო? ასე თუ ისე, ის კი ცხადია, რომ „ქვემოდან“ რევოლუციისაგან განსხვავებით „ზემოდან“ რევოლუციას ძველი ხელისუფლება ახორციელებს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. უდავოა, რომ გორბაჩოვი ძველი სისტემის წიაღიდან გამოსული ლიდერი-რეფორმატორია, ხოლო ასეთ პირობებში რთული დილემაა ძველი სისტემის თვითგანახლების რეფორმის ცხოვრებაში გატარება. ამიტომაც აღმოჩნდა გორბაჩოვი იანოშ კადარის როლში და ამიტომ ვერ იმოქმედებს იგი ვაცლავ ჰაველის სტილში.

ასეთ სიტუაციაში კი, გამორიცხული არ არის წინასწარ დაგეგმილი და გათვლილი „მოულოდნელი“ სენსაციები. იყო ასეთი „საპარლამენტო ილეთი“ შევარდნაძის განცხადება? თუ ამ ვერსიის მომხრეები არ სცდებიან, მათ მზად უნდა ჰქონდეთ პასუხი მთავარ კითხვაზე — რატომ დასჭირდათ პრეზიდენტს და მის მთავარ მინისტრს ასეთი სპექტაკლი? დეპუტატთა კორპუსისა და მთელი ქვეყნის დასაშინებლად? მაშინ რეალური ყოფილა სამხედრო გადატრიალებისა და დიქტატურის საფრთხე. გავიხსენოთ, რომ თუმცა გორბაჩოვი არ დაეთანხმა შევარდნაძეს საჯაროდ, დიქტატურის საფრთხის რეალობაში (ვერც დაეთანხმებოდა), მაგრამ არც კატეგორიულად უარჰყო მინისტრის „სრული პასუხისმგებლობით“ გაკეთებული განცხადება — „მე ამგვარი ინფორმაცია არ გამაჩნიაო“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

ახლა კვლავ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს მივუბრუნდეთ. საჯაროდ იგი თითქოს ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნავს, „ცალმხრივი დათმობები“ აღარდებს, თოვლში გაშლილი კარვების დროებით მობინადრეთა ხვედრი უკარგავს სიმშვიდეს და ეს მაშინ, როდესაც მხოლოდ უკანასკნელ ოთხ წელიწადში არმიაში 15 ათასი ახალგაზრდა დაიღუპა ყაზარმული სადიზმის შედეგად. შედარებისთვის — ამდენივე დაიღუპა ავღანეთში ათი წლის განმავლობაში. მართლაც, რომ საზღვარი არა აქვს საბჭოთა გენერალიტეტის ცინიზმსა და პირფერობას.

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან გამოყვანილ და მძიმე პირობებში აღმოჩენილ ჯარისკაცთა და დაბალი რანგის მეთაურთა მდგომარეობა მართლაც მძიმეა. სხვა საკითხია, რომ ამაში არც შევარდნაძეს მიუძღვის ბრალი და, მითუმეტეს, არც აღმოსავლეთ ევროპელებს, მაგრამ სულ სხვა სატკივარი აქვთ სამხედროებს, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრს უტევენ; იშლება იმპერია, ამას უკვე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსიც აშკარად ხედავს. ხედავს და ჟრუანტელსა ჰგვრის იმაზე ფიქრიც კი, რომ მისი ძალისა და გავლენის წყარო, იმპერია (ფაქტობრივად სამხედრო იმპერია!) 15 დამოუკიდებელ, მისგან დამოუკიდებელ(!) სახელმწიფოდ შეიძლება დაიშალოს. დემონტაჟი უკვე დაწყებულია და მისი შეჩერების გარანტიად გენერალიტეტს საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა მიაჩნია. სქემა დაახლოებით ასეთია — საგარეო-პოლიტიკური კურსის გამკვეთრებას ავტომატურად მოჰყვება ამერიკის შეერთებული შტატების საპასუხო რეაქცია. რუსეთი უნდა გამოემშვიდობოს არა მხოლოდ თავის „ნაცემ“ საგარეო საქმეთა მინისტრს, არამედ შეპირებულ სურსათს, კრედიტებს, თანამედროვე ტექნოლოგიასა და ფართო დახმარების სხვა პროგრამებს. ლაპარაკიც აღარ შეიძლება იყოს ახალ ხელშეკრულებებზე განიარაღების სფეროში, პირიქით, საჭირო იქნება შევარდნაძის მიერ „დარღვეული პარიტეტის“ აღდგენა, რაც ახალ ასეულ მილიარდობით დაკვეთებს მოუტანს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს. ტყუილად ხომ არ აქცია უკანასკნელმა ფიქციად ჯერ კიდევ გუშინ ფართოდ რეკლამირებული და დღეს უკვე ყველას მიერ უიმედოდ მივიწყებული კონვერსია?

თითქოს გასაკვირია, მაგრამ სინამდვილეში ლოგიკურია, რომ საბჭოთა გენერალიტეტსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ყველაზე ძლიერი ფაქტობრივი მოკავშირე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰყავს ადგილობრივი ულტრა-კონსერვატორული წრეების სახით. სოციალიზმის, როგორც სისტემის კრახით გამოწვეული ეიფორია ხანგრძლივი არ ყოფილა ამერიკაში. საღად მოაზროვნე სპეციალისტები და პოლიტიკოსები საჯაროდ გამოსთქვამენ შიშს, რომ სამხედრო პირისპირ დგომის შესუსტებას ევროპაში აუცილებლივ მოჰყვება ნეიტრალიტეტისაკენ ლტოლვა, რაც გაართულებს ევროპის ინტეგრაციის პროცესს და დაასუსტებს ნატოს. ეს კი ავტომატურად შესცვლის ევროპაში სადღეისოდ არსებულ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ძალთა ბალანსს და საბოლოო ჯამში შეასუსტებს ამერიკის გავლენას. საკუთარი საზრუნავი აქვს რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობას, რომელიც უკვე მომავალი საარჩევნო კამპანიის სტრატეგიაზე ზრუნავს; საქმე ის გახლავთ, რომ საბჭოთა სამხედრო საფრთხის, დასავლეთსა და აღმოსავლეთ შორის იდეოლოგიური წინააღმდეგობის გაქრობის სინამდვილეში შეიძლება გაძლიერდეს დემოკრატების პოზიციები, რომლებიც ტრადიციულად მუდამ რესპუბლიკელებზე უფრო მგრძნობიარენი არიან საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური გლობალური ცვლილებების მიმართ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერ-ჯერობით პრეზიდენტმა ბუშმა ვერ შესძლო რაიმე ეფექტური აქციის განხორციელება საგარეო პოლიტიკის სფეროში, უფრო მეტიც — სერიოზული მარცხი განიცადა 1989 წლის ოქტომბერში, როდესაც რეიგანის სტილში ვერ განახორციელა ბლიც-გადატრიალება პანამაში. როგორც დემოკრატები, ასევე ულტრა-კონსერვატორები ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ გამოაქვეყნოს თავისი საორიენტაციო კურსი იმ შემთხვევისათვის, თუკი საბჭოთა კავშირში შეიცვლება საშინაო-პოლიტიკური სიტუაცია, აქედან გამომდინარე საგარეო-პოლიტიკური შედეგებით. ისეთ გამობრძმედილ პოლიტიკოსებს, როგორნიც არიან კისინჯერი, ბჟეჟინსკი, ნიქსონი, ვულფოვიჩი, ოდომი და სხვები, არადამაჯერებლად მიაჩნიათ სახელმწიფო დეპარტამენტის ვერსია (ამავე პოზიციაზეა თეთრი სახლიც), რომ რაც არ უნდა მოხდეს, საბჭოთა კავშირის მძიმე ეკონომიკური სიტუაცია, ეთნოკონფლიქტები, რესპუბლიკებთან გამწვავებული ურთიერთობა, საშუალებას არ მისცემს მოსკოვს ძველ საგარეო-პოლიტიკურ კურსს დაუბრუნდეს. მაგალითად, კისინჯერს სასაცილოდ არ ჰყოფნის ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენლის არგუმენტი, რომ მოსკოვი ანგარიშს გაუწევს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს და უარს ვერ იტყვის ნაკისრ ვალდებულებებზე. ადრე მოსკოვს არაერთხელ შეუბრუნებია ზურგი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისათვის და არც მომავალში ითაკილებს — ამტკიცებს იგი.

ამერიკელი ულტრა-კონსერვატორები პრინციპში არ უარყოფენ გორბაჩოვის კურსისათვის დახმარების იდეას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეფორმები საბჭოთა კავშირში მასშტაბური იქნება, თუ გარანტირებული იქნება მათი საბოლოო წარმატება, თუ რეჟიმი ნაკლებად რეპრესიული იქნება სახლში და ნაკლებად აგრესიული გარეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ლაპარაკიც არ შეიძლება დახმარებაზე. ასეთ სიტუაციაში საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სტრატეგია იმდენადვე მარტივია, რამდენადაც წაუგებელი — არ უნდა იყოს რეფორმები მასშტაბური და არც საბოლოო შედეგი უნდა იყოს ნათელი. ასევე ფართო მასებმა ვერ უნდა იგრძნოს გარე სამყაროსთან ეკონომიკური თუ სხვა სახის კავშირების სიკეთე. ამიტომაც დგას საზღვრისპირა სადგურებში დასავლური სურსათით თუ პირველი მოთხოვნილების სხვა საქონლით დატვირთული ათასობით ვაგონი დაუცლელი, ხოლო დასავლელი მრეწველები კი, გუშინ რომ ყველა სიკეთეს ჰპირდებოდნენ დამშეულ ხალხს, დღეს მათდა უნებურად იძულებულნი არიან აღიარონ, რომ მისია გაცილებით რთული გამოდგა, ვიდრე ვარაუდობდნენ. მაშ რაღა სიკეთე მოაქვს საგარეო პოლიტიკას, რომელიც „სანიტარულ კორიდორს“ კარგავს (აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სახით), „მოსისხლე მტერს“ — ამერიკის შეერთებულ შტატებს — „ცალმხრივი დათმობებით“ ანებივრებს და სამაგიეროდ ხალხსაც კი ვერ აძღობს დასავლური პროდუქტით?

არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ საგარეო პოლიტიკურ კურსს მიიჩნევს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი თავის ყველაზე საშიშ მტრად. თუკი დღეს შეიძლება გარდაქმნის შედეგებზე ლაპარაკი, პირველ რიგში საგარეო პოლიტიკის სფეროში. დღიდან დაარსებისა, საბჭოთა კავშირი მუდამ იდეოლოგიზირებული სახელმწიფო იყო, სადაც პოლიტიკა განუყოფელი იყო იდეოლოგიისაგან, ხოლო უკანასკნელს კი საფუძვლად ედო კომუნიზმისა და კაპიტალიზმის შეურიგებელი ანტაგონიზმის აუცილებლობის იდეა. ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი პირველი შედეგი სწორედ ის იყო, რომ ეს იდეა იქნა უარყოფილი. ძნელი დასადგენი არ უნდა იყოს, თუ ვინ დატოვა „უმუშევარი“ ასეთმა სიახლემ. ქვეყნის შიგნით თითქმის გაქრა ბირთვული ომის შიში. გახსოვთ რა ძალა ჰქონდა ობივატელურ პოსტულატს — „ოღონდ ომი ნუ იქნება და უარესსაც ავიტანთო“. როდესაც ომის საფრთხე აღარ არის ძველებურად ძლიერი, ხალხი ძველებურად ამტანი აღარ იქნება, მით უმეტეს, რომ ასატანი სიძნელეები გაათკეცდა და პირველ რიგში ხალხი ძველებური მასშტაბების სამხედრო ხარჯებს აღარ აიტანს. მაინც როდის გაჩნდა პირველი ბზარი გორბაჩოვის კურსსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სასიცოცხლო ინტერესებს შორის? ან რატომ ამოუდგა მხარში კომპლექსს მმართველი იმპერიული ბიუროკრატია? კავშირის შენარჩუნება ყველას სურს, მაგრამ გორბაჩოვის კურსის მეორე მომენტი — ფართომასშტაბიანი განიარაღება, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა დასავლეთთან და ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლება — მიუღებელია როგორც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის, ასევე მმართველი იმპერიული ბიუროკრატიისათვის. ამიტომაც მოჰყვა პრეზიდენტის კურსს კონსერვატიული რეაქცია. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე რა მიზანს ისახავდა გორბაჩოვის შეხვედრა სამხედროებთან? კონსერვატორ სამხედროებს (ფაქტობრივად სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაქირავებულ [illegible]) მცირე ბოროტება უნდა მიეღოთ გორბაჩოვის კურსი და ელცინთან კომპრომისი, მაგრამ კომპრომისების ოსტატ პრეზიდენტს ამჯერად ალღომ უმტყუნა. გახსოვთ ჩვენი ძველი ნაცნობის პოლკოვნიკ ალქსნისის კადნიერებამდე მისული რეპლიკა — „პრეზიდენტი არმიის გარეშე დარჩაო?“.

ახლა, რაც შეეხება გორბაჩოვ-ელცინის ურთიერთობებს. ჩვენში არავის შეუწუხებია თავი ამ ორი ლიდერის კონფრონტაციის შედეგების ანალიზით. მთავარი მაინც ის არის, რომ ურთმანეთთად ორივეს კურსი განწირულია. თუ ელცინის რუსეთი ლოგიკურ ფინალამდე მიიყვანს კავშირიდან გასვლის იდეას, თვითონაც დაიშლება. ამავე დროს გორბაჩოვი იმდენად ძლიერია, რომ ელცინს არ შეუძლია მისი იგნორირება, ხოლო ელცინი კი იმდენად პოპულარულია რუსეთში, რომ თავისუფალი მანევრირების საშუალებას არ აძლევს გორბაჩოვს.

ელცინთან კომპრომისის ჩაშლამ მოვლენათა დაჩქარება გამოიწვია. რატომ? უბრალოდ, სამხედრო და სამოქალაქო იმპერიული ძალების კოალიციას სწორედ ხსენებული კომპრომისი ესახებოდა კავშირის შენარჩუნების მთავარ გარანტიად. რაკი კომპრომისი ვერ მოხერხდა (მას შემდეგ, რაც გორბაჩოვმა უარჰყო კოალიციური მთავრობის იდეა „არაკომუნისტების“ მონაწილეობით, კომპრომისი შეუძლებელი გახდა), ე. ი. კავშირი განწირულია. ერთადერთ ალტერნატივად დარჩა რეპრესიული რეაქცია, რამაც არ დააყოვნა.

საერთო სურათს დრამატიზმს ისიც ჰმატებს, რომ დასავლეთის თავდაპირველი განზრახვა იყო (ჯერ-ჯერობით ეს ძალაშია) ეკონომიკური დახმარება აღმოეჩინა ცენტრისათვის და არა მოჯანყე რესპუბლიკებისათვის. თავის მხრივ გორბაჩოვი შეპირდა დასავლეთს, რომ სულ გვიან 1990 წლის ნოემბერში მიიღებდა ისეთ კანონს უცხოურ კაპიტალდაბანდებებზე, რომელიც გამორიცხავდა საბჭოთა სახელმწიფოს ჩარევას უცხოელ და საბჭოთა ინვესტიტორების ურთიერთობებში. ამავე წლის დეკემბერში უნდა მიღებულიყო მეორე კანონი — „საერთო ბაზრის“ და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შესახებ. ვინაიდან ეს მოითხოვდა ცენტრისა და რესპუბლიკების უფლებამოსილებათა ზუსტ გამიჯვნას და განსაზღვრას, იგი ჯერაც არ არის მიღებული.

ახლა სანამ საბოლოო დასკვნამდე მივიდოდეთ, ორიოდ სიტყვა შევარდნაძის რეალურ გეგმებზე; მართლაც სერიოზულად აქვს მას გადაწყვეტილი წასვლა? თუ ასეა, ამის საფუძველი უნდა იყოს სიტუაციის სრული უიმედობა. დავუშვათ, რომ მართლაც რაღაც ძალებმა უკვე აიძულეს გორბაჩოვი მკვეთრად შეეცვალოს საგარეო-პოლიტიკური (აქედან გამომდინარე საშინაო-პოლიტიკური) კურსი. ამ შემთხვევაშიც ხომ მისთვის შეუცვლელი იქნებოდა შევარდნაძე, რათა ცვლილებებს დემონსტრაციული ხასიათი არ მიეღო და მსოფლიო რეზონანსიც ნაკლებ მტკივნეული ყოფილიყო პრეზიდენტისათვის. გარდა ამისა, ძნელი დასაჯერებელია, რომ მინისტრს ასეთ დრამატულ სიტუაციაში ანგარიში არ გაეწია „მეგობარი“ პრეზიდენტისათვის და მთელი ქვეყნის თვალწინ „შოკში ჩაეგდო“ „ქამრის ქვემოთ“ დარტყმით. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი; იმ დღეებში მე მოსკოვში მომიხდა ყოფნა და ყრილობის კულუარებში ისიც კი იცოდნენ, თუ როდის უნდა გამოსულიყო შევარდნაძე თავისი სენსაციური განცხადებით. მხოლოდ გორბაჩოვისათვის იყო ეს მოულოდნელი? დაუჯერებელია! მართალია, ტრიბუნაზე მინისტრს ღელვა ეტყობოდა, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ყოველი ფრაზა, სიტყვა, მრავალგზის მოფიქრებული და აწონილ-გაზომილი იყო. ეგებ ამიტომაც „წავიდა“ ისე, რომ ფართოდ გაღებული კარი დასტოვა? მეგობრობისა და თანამოაზრეობის ფიცი და რწმენა საბოლოო გამარჯვების. ასეთი სიტყვებით არ მიდიან იმედგაცრუებული და უთანასწორო ბრძოლაში უიმედოდ ქანცგამოცლილი მოღვაწენი. არც შევარდნაძეა იმ წრთობის პოლიტიკოსი, რომ ემოციებს აჰყვეს და გაიბუტოს. მაშ რა, ჩვენ ყველანი კრემლის სცენაზე კიდევ ერთი პოლიტიკური სპექტაკლის მოწმენი შევიქენით? შეიძლება ეს მართლაც მარჯვე „მხედრის სვლა“ იყო ზოგიერთების გასააქტიურებლად და ზოგიერთების შესაშინებლად, და თუ მაინც გადადგა საბოლოო ჯამში მინისტრი? მაშინ რეალობად იქცევა ყველაზე საშინელი ეჭვი — დიქტატორული გადატრიალება უკვე მოხდა. ასეთი ფატალური ეჭვი ყრილობაზე უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის კრიუჩკოვის გამოსვლამ დაბადა. კარგა ხანია აღარ გვსმენია ამ დონეზე ძველმოდური დემაგოგია „იმპერიალიზმის დაზვერვათა ძირგამომთხრელ საქმიანობაზე“, თვით კუდმოკვეცილ დემოკრატიულ ღონისძიებათა „ნაადრევობაზე“, „დროებით“ შეზღუდვებზე და ა. შ. შემდეგ მისივე პრესკონფერენცია 25 დეკემბერს, როდესაც ცალკეულ პირთა თუ ორგანიზაციათა „დესტრუქციულ ქმედებას“ მისცა უაღრესად „ორიგინალური“ კვალიფიკაცია. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს საბჭოთა კავშირში სულაც არ არის აუცილებელი ტანკების გრუხუნიანი და ავტომატმომარჯვებული პარაშუტისტებიანი გადატრიალება ჩილეს სტილში. ჩვენში ეს უფრო „ცივილიზებულ“ ფორმებში მოხდება; „ნაზი“ და „ხავერდოვანი“ არა მხოლოდ რევოლუცია, არამედ კონტრრევოლუციაც შეიძლება იყოს. ასე რომ, მეტი რომ არა ვთქვა, გულუბრყვილობაა სერიოზული სახით მსჯელობა იმაზე, შეიცვლება თუ არა კურსი შევარდნაძის წასვლის შემთხვევაში, კურსის ცვლა შევარდნაძის ყოფნის პერიოდში დაიწყო. ასევე გულუბრყვილობაა იმის „პროგნოზირება“ თუ როგორი იქნება საგარეო-პოლიტიკური კურსი პრიმაკოვის, ბესმერტნიხისა თუ ვორონცოვის დროს: კურსი უკვე დადგენილია, ისევე როგორც შევარდნაძეს არ შეუმუშავებია კურსი. იგი მხოლოდ სხვისი კურსის გონივრულად და მარჯვედ გამტარებელია. ასევე სმოლენსკის მოედნის მიერ შემუშავებულ კურსს გაატარებს ნებისმიერი მინისტრი, ახალი თუ ძველი. მთავარი სულ სხვაა და ეს არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან — შევარდნაძე გინდ დარჩეს, კურსის შეცვლა მაინც რეალობაა.

სოსო ცინცაძე

მხატვრობა

ვით ანგელოზნი ზეცად აღევლინენ

ნანა ბოტკოველის სახელოსნოში რომ შევედი და მისი საოცარი ქმნილებები ვნახე, მასპინძელმა ღიმილით მითხრა: შენ ამათ არც ერთს არ იცნობ, ესენი ახალი ოჯახის წევრები არიანო.

ნანა ბოტკოველი თავის ნამუშევრებს — თიხის ლამაზ ქმნილებებს თითქოს სულს შთაბერავს და ცოცხალ არსებებად წარმოიდგენს. მთელ თავის განცდებსა და ნააზრევს, პროტესტსა თუ თაყვანისცემას მათში აქსოვს. ამისათვის კი მას მხატვრული ხერხები თუ ფერთა გამა უამრავი აქვს, ფანტაზია — დაუშრეტელი.

სახელოსნოში სხვადასხვა სტილისა თუ ფორმის მონუმენტურ კერამიკულ ნაკეთობათა შორის, რომელთა უმრავლესობა თვალს გტაცებთ მომხიბლავი ორნამენტებითა თუ ფრესკებით, უპირველესად ყურადღება მაღალმა, ლამაზად ჩამოქნილმა შავი ფერის დეკორატიულმა ლარნაკმა მიიქცია — ეს ჩემი უზენაესი კერპის — ქეთევან დედოფლის საფლავის თავია, — ამიხსნა შემოქმედმა, — შევეცადე მისი ლეგენდარული სახელისადმი ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა.

ლარნაკის ერთ მხარეს ნანას საყვარელი სახება — სიცოცხლის ხეა უძლიერესი ფესვებითა და ტოტების განშტოებით. მეორე მხარეს კი ქეთევანის სულის შესაწირია, ქართული სიმბოლოს — ხარის თავის გამოსახულებით. ორივე სახებით შემოქმედი ცდილობს ქეთევანის ხმა ზეცას მიაწვდინოს, რომლის თავგანწირვა დღევანდელობაში კიდევ უფრო ძლიერად ჟღერს.

ნანა ბოტკოველის უკანასკნელ წლებში შექმნილ კერამიკულ ნამუშევრებში რელიგიური თემა ჭარბობს. თუმცა, მთელი მისი შემოქმედების ძირითადი მოტივი ხომ ყოველთვის ამ თემით იყო დატვირთული. თითოეულ ნაკეთობაში იგრძნობა ფილოსოფიურად მოაზროვნე ხელოვნის ჭვრეტა ცხოვრებისეულ პრობლემებზე, მისი დამოკიდებულება ადამიანის ღირსებისა თუ დანიშნულებისადმი, სამშობლოსთვის თავდადებისადმი.

ქეთევან წამებულის ხსოვნას მან არაერთი ნამუშევარი მიუძღვნა. აი, თუნდაც, ქართული ფრესკებიდან გადმოსული ენდროს ფერსა და ოქროს ელვარებაში ამოვლებული ლარნაკი „მზის სამყაროში“, რომელსაც მხატვარი ქეთევან დედოფლის ნათებად, მზის ერთ უძლიერეს სხივად აღიქვამს. აქაც, ისევე როგორც ნანა ბოტკოველის თითქმის ყველა ნამუშევარში, გამოყენებულია მაღლივი ძერწვით შესრულებული მხატვრის საყვარელი ქართული ორნამენტები — მზის დისკო, ვერძის თავი, ბროწეულის რტო, და თითოეულ მონახაზში ზეცისადმი საგალობელია წარმოსახული.

ხელოვანს ქეთევან დედოფლის სარკოფაგის შექმნა აქვს ჩაფიქრებული. საერთოდ კი, იგი თავის შემოქმედებაში უპირველეს ადგილს წინაპართა ნათელ ხსოვნას უძღვნის: ამ მხრივ მარტო ღრმა შინაარსით დატვირთული დეკორატიული ლარნაკების — „ფიროსმანის საფლავისა“ და „მიხეილ ხერგიანის სულის მოსაგონარის“ გახსენება რადა ღირს. ნანა ბოტკოველის შემოქმედების კრედო ეროვნულობა. — რასაც გააკეთებ — ამბობს იგი, — ქართული უნდა იყოს. თუ ნაწარმოებში შემოქმედის ეროვნულობა არ იგრძნობა, ის ქართული ხელოვნება არ არის. მხოლოდ ქართული ტრადიციების, ქართული ფრესკებისა თუ კერამიკის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგიის ღრმა ცოდნა, ქართული ხალხური ზღაპრების სიბრძნის წვდომა და მდიდარი ფანტაზია, გემოვნება, პოეტურობა ეხმარება მას შექმნას მაღალმხატვრული კერამიკული ქმნილებები, რომელნიც დიდად მოსწონთ არა მარტო ჩვენში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რასაც მისი თორმეტი პერსონალური გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნის ჩანაწერებიც მოწმობს. ნანას ხელოვნებას აღტაცებულ შეფასებას აძლევენ გერმანელი, პოლონელი, ფინელი, ბერძენი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

განსაკუთრებული სიყვარულით ნანამ თავისი საზეიმო ლარნაკი „ნათელმხილველი“ წარმომიდგინა. ესაა თიხის კეცზე შესრულებული ფერწერული პორტრეტი. ვინაიდან მან თავისი შემოქმედების ძირითადი ნაწილი ზეციურ და მიწიერ სამყაროს მიუძღვნა, თავისთავად განუვითარდა ნათელმხილველის მისეული ცნება. მხატვრის წარმოსახვით საქართველოში ყოველთვის ყოფილან გულთმისნები, ყოველთვის იყო ზეცისადმი ლტოლვა, რასაც ჩვენი წინაპრები თუნდაც მაღლობ ადგილებში ტაძრებისა თუ კოშკების მშენებლობით გამოხატავდნენ.

ნანას წარმოდგენით ნათელმხილველი ქალი უნდა ყოფილიყო, რადგან ქალი უფრო კეთილშობილია, ერთგულია. ამიტომაც ლარნაკზე წარმოსახულ ფრესკაში ქართველი ნათელმხილველი ქალის ჰიმნია გამოხატული. მხატვრის ნათელმხილველს მხოლოდ შუბლის თვალი აქვს და მისით მთელ სამყაროს ხედავს. ნამუშევარში კიდევ ბევრ რამეს ამოიკითხავთ. პლანეტების დამოკიდებულებას დედამიწისადმი, ზებუნებრიობის ძალასა თუ ადამიანის უკვდავებას.

ჩვენს დიდ გულისტკივილს — ცხრა აპრილის ტრაგედიას, ნანამ ნამუშევრების მთელი სერია უძღვნა და მათში გამოხატა თავისი დამოკიდებულება იმ ავბედით ღამეს დატრიალებული ცოდვისადმი. სახელოსნოში ამ ნამუშევრებს მთელი კუთხე უკავიათ. — სანამ ეს უბედურება დატრიალდებოდა, — მეუბნება ჩემი მასპინძელი, — დონეცკში, ხელოვნების მუზეუმში გათვალისწინებული იყო ჩემი, რიგით მეცამეტე, პერსონალური გამოფენის მოწყობა და, რასაკვირველია, სათანადოდ ვემზადებოდი კიდეც, იმ ტრაგედიის შემდეგ კი, მაისში დონეცკიდან დამირეკეს, მომისამძიმრეს და მკითხეს: გამოფენის საქმე როგორ იქნებაო, მე გაოცებულმა ვუპასუხე: რა დროს გამოფენაზეა ლაპარაკი, მე მთელი წელი უნდა ვიგლოვო და მერე ვნახოთ-მეთქი. მართლაც, მთელი წელი ვებრძოდი ჩემს თავს, არ ვიცოდი, როგორ გავთავისუფლებულიყავი ამ ტკივილისაგან. თანდათანობით მუშაობაში ჩავები და თითოეულ დაღუპულს ცალკე-ცალკე მივუძღვენი ნამუშევარი, სულ სამოცდაათი დეკორატიული თეფში და ლარნაკი შევქმენი.

შეუძლებელია არ შეგძრათ თიხაზე წარმოსახულმა ფრესკებმა — თეთრ, ლურჯ, მწვანე, შავ ხაზებში გადმოცემულმა ორლესული ნიჩბებით დაჩეხილი ცრემლიანი თვალების ნათებამ, თეთრი, გრძელნისკარტა და მაღლა გაწვდილი ფრთებით წარმოსახულმა საოცარ ფრინველთა სახებამ — ისინი ხომ მხატვარმა ცაში აფრენილ დაჩეხილ ქალთა სულებად წარმოაჩინა. სააქაოს დასრულდა მათი ცხოვრება და სულებმა მარადისობაში გადაინაცვლეს. ფრესკებში ავტორი მისეული ჭვრეტით გადმოსცემს თითოეული დაღუპულის ჩხვის სურათს. აბა, თვით ნაწარმოებთა სახელებს დაუკვირდით: „ფეხმძიმე ასული და ჯარისკაცის გულქვა განაჩენი“, „ოჯახის სამი ცხედარი“, „ცრემლის მორევში“, „სულთა გაფრენა“, „შავბედითი დილა თბილისის ცაზე“, „ორლესულ ნიჩაბთა კვალი“, „წმინდანთა ზეცაში ლაღადი“, „ჩვენ მაინც ვხედავთ საქართველოს“...

ნანას ახლახან შექმნილ ნამუშევართა შორის გამოვარჩევთ მხატვრის პალიტრიდან გადმოსულ ორიგინალურ ნაკეთობას — პატარა ზარნაკს, რომელსაც შემოქმედი ავგაროზს უწოდებს. მასზე გამოსახულია ისევ ზეცისგან მოვლენილი მშვიდობის მტრედები, მათ ჩვენი სამყარო, ჩვენი სამშობლო მტრის ავი თვალისაგან უნდა დაიცვან. ესეც უძველესი ქართული ტრადიციების შთაგონებიდან მოდის.

აი, კიდევ მისი ახალი დეკორატიული ლარნაკი — „ჩემი საქართველოს დროშა“. ნაკეთობის ერთ მხარეს ცისფერ ფონზე მზის სხივებით გაბადრული საქართველოა გამოსახული, მეორეზე — მხატვრის მიერ თავისებურად დანახული სვეტიცხოვლის ანგელოზი.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რაზე მუშაობს ამჟამად, რა გეგმები აქვს სამომავლოდ, ხელოვანმა მიპასუხა: მე ჯერ არ შემიქმნია ის, რისი გაკეთებაც ჩაფიქრებული მაქვს. ის, რაც ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე შევქმენი, მხოლოდ იმის სამზადისია, რაც მომავალში უნდა გავაკეთო. ამისთვის ვემზადები და ვნახოთ, რა გამოვა... ამას ამბობს შემოქმედი, რომელმაც თავისი ნამოღვაწარით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენში მხატვრული კერამიკის აღორძინებას, შემოქმედი, რომლის ნამუშევრები ამშვენებს ჩვენი ქვეყნის მუზეუმებსა თუ საგამოფენო დარბაზებს, მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა თუ მეგობრების ბინებს. ახლო მომავალში კი მინდა ახალ ნამუშევრებში ავსახო ჩემი შთაბეჭდილება, რომელიც ნეპალში, ამ საოცარ ქვეყანაში მოგზაურობიდან მივიღეო.

ვემშვიდობები მასპინძელს და კვლავ თვალს ვავლებ მის მონუმენტურ კერამიკულ ქურჭელს, ნაირ-ნაირი ფერისა და ფორმის სასმისებს, ლარნაკებს, ამფორებს, მარნებს, ფიალებს, და ნანას კვლავ დავულოცავ მის პირველ, 1969 წლის პერსონალურ გამოფენაზე გამოტანილ ულამაზეს საზეიმო სურებს — „ნეფე-დედოფალს“, რომელთაც, მართლაც, დიდი „ნაშენი“ მოუტანეს მათ შემქმნელსა და ასახელეს მისი მარჯვენა.

ლარისა ხუბულური.

სურათებზე: ნანა ბოტკოველი თავის სახელოსნოში; ლარნაკი — „ქეთევან დედოფლის საფლავის თავი“ (ზემოთ).

ფოტო გიგი მელქაძისა.

თეატრი

ეროვნული პოზიციის ერთგულნი

ოც წელზე მეტია, რაც მესხეთ-ჯავახეთის კულტურულ ცხოვრებაში ნაყოფიერი წვლილი შეაქვს ახალციხეში დაფუძნებულ მესხეთის სახელმწიფო დრამატულ ქართულ თეატრს. ამ თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება, აქ ამეტყველებული ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებები კოლექტივის ეროვნული პოზიციის თვალსაჩინო გამოხატულებაა.

ახლახან მესხეთის სახელმწიფო დრამატული ქართული თეატრის მთავარ რეჟისორად საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული გიორგი შალუტაშვილი დაინიშნა, მანამდე იგი ერთი წელიწადი ამ თეატრის რეჟისორი იყო.

ჩვენი საუბარი გულწრფელი მილოცვით დაიწყო.

— დიდი მადლობა, — ღიმილით გვეუბნება მთავარი რეჟისორი. კოლექტივმა ნდობა გამომიცხადა, ვეცდები მოლოდინი არ გავუწბილო. თეატრის დასი ძირითადად იმ ენთუზიასტებისაგან შედგება, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს მის დაფუძნებას და დღემდე ერთგულად ემსახურებიან.

— ალბათ, ქალბატონ ნანა დემეტრაშვილის დავიწყებაც არ შეიძლება, რომლის ხელმძღვანელობითაც ფეხი აიდგა მესხეთის თეატრმა.

— გეთანხმებით, ქალბატონმა ნანა დემეტრაშვილმა, როგორც თეატრის ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა, ყველაფერი გააკეთა მესხეთის თეატრის ავტორიტეტისათვის, რეპერტუარში ქართული დრამატურგიის დამკვიდრებისათვის.

— კონკრეტულად, ქართველ დრამატურგთა რომელი პიესები დაგხვდათ სარეპერტუარო პორტფელში?

— ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“?! გიორგი ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“, ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელი“, ნიკო ლორთქიფანიძის „სოფლის აშიკი“, ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“, შადიმან შამანაძის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“ და სხვა. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დასახელებული პიესები დადგეს რეჟისორებმა ზურაბ სიხარულიძემ და თამილა პატაშურმა, რომლებიც, სამწუხაროდ, უკვე წავიდნენ ჩვენი თეატრიდან.

— გამოდის, რომ სადღეისოდ მხოლოდ თქვენ დარჩით — როგორც მთავარი და ერთადერთი რეჟისორი. გახარებთ თუ გაშინებთ ბუნებრივად შექმნილი პრივილეგია?

— მხოლოდ სერიოზულად მაფიქრებს. ერთი კაცი სუფრაზეც ცოდოა და მით უმეტეს თეატრში. მარტოდ ყოფნა, თუნდაც მთავარი და ერთადერთი რეჟისორის რანგში, პრივილეგიად კი არა, დასჯად მიმაჩნია. ამიტომ, სასწრაფოდ მოვიწვიეთ ორი რეჟისორი. ამ დღეებში რეჟისორი მარლენ ბესტავაშვილი მაყურებელს შესთავაზებს შადიმან შამანაძის პიესას „ღია შუშაბანდის“ პრემიერას. მორიგი პრემიერა იქნება რეჟისორ იგორ საბოს მიერ დადგმული თამაზ მეტრეველის პიესა „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“. ჩვენ ასეთ პრაქტიკას მომავალშიც დავამკვიდრებთ. მოვიწვევთ აღიარებულ რეჟისორებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, ცნობილ მსახიობებს, რომ მესხეთის საზოგადოებამ თავის მშობლიურ სცენაზე იხილოს მაღალი პროფესიონალიზმი. მოვიწვევთ აგრეთვე ახალგაზრდა ქართველ დრამატურგებს, რათა, სპეციალურად ჩვენი თეატრისათვის დაწერონ პიესები. მრავალჭირნახული მესხეთის მხარე მათ საინტერესო, პატრიოტულ სიუჟეტებს უკარნახებს. აქ უჭირს ქართულ გენს. ამიტომ რესპუბლიკის შემოქმედებითმა ინტელიგენციამ ღრმად უნდა გაიცნობიეროს მესხეთის თეატრის ეროვნული მნიშვნელობა და მთელი ენერგიით იზრუნოს მისი აღმავლობისათვის.

— შემოქმედებითი ტვირთის გარდა, ალბათ, სხვაგვარი პრობლემების სიმძიმეც იგრძენით.

— დავიწყებ იმით, რომ თეატრს კაპიტალური რემონტი სჭირდება, მოსაწესრიგებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თვითდაფინანსებით, მითუმეტეს ასეთ რეგიონში, თეატრი ვერ იარსებებს. ეს საკითხი დასმულია ზემდგომ ინსტანციაში. გვპირდებიან დახმარებას. თეატრს მუდმივი, მყარი სახელმწიფო დოტაცია სჭირდება. ამის თაობაზე გაამახვილა ყურადღება თავის ერთ-ერთ გამოსვლაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, რამაც იმედის სხივი ჩაგვისახა. დღეისათვის ძალზე პრიმიტიულად გამოიყურება თეატრის ტექნიკური აღჭურვილობა, გარდერობი და სხვა. გვაწუხებს საცხოვრებელი ბინის საკითხიც. თეატრალური ინსტიტუტიდან, ახალგაზრდა მსახიობები, თუ ისინი ბინით ვერ დავაკმაყოფილეთ, უარს იტყვიან ჩვენთან მუშაობაზე, ვერც გავამტყუნებთ. დაბალია მსახიობის შრომის ანაზღაურება — თვიურად 200 მანეთამდე შეგვიძლია მივცეთ ახალგაზრდა მსახიობს... აგერ უკვე ოცდამეოთხე წელია, დღიდან დაარსებისა, აქ მუშაობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლია სულუაშვილი და ოთარ რეხვიაშვილი. მათ ახლახანს გაეზარდათ ხელფასი 300 მანეთამდე. ესეც ხომ ძალზედ უმნიშვნელო ანაზღაურებაა მათი მრავალწლიანი მაღალპროფესიული შრომისა, თანაც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სიძვირის პირობებში. მიუხედავად მრავალი დადგენილებისა და გადაწყვეტილებისა, თეატრს 1977 წლიდან დღემდე არ მიუღია სრული დოტაცია, რის გამოც გვიჭირს ფინანსურად.

სამწუხაროდ, ყველა დადგენილება ქაღალდზე რჩება... საჭიროდ მიგვაჩნია თეატრის ხელმძღვანელობას მიეცეს იურიდიული უფლება, თვითონ განსაზღვროს თანამშრომელთა ანაზღაურება მათი შრომის მიხედვით.

— იმედი ვიქონიოთ, დღეიდან ქართულ თეატრზე, ქართული ენის სიცოცხლეზე, მეტად იზრუნებს ხალხის ნებით არჩეული ჭეშმარიტად ეროვნული უზენაესი საბჭო.

— პირადად თქვენ თუ მოასწარით მესხეთის მაყურებლისათვის რეჟისორული განაცხადით წარდგენა?

— მთავარ რეჟისორად „კურთხევამდე“, რიგითი რეჟისორის ამპლუაში, განვახორციელე ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“, რომლის პრემიერაც ოქტომბერში შედგა. წლევანდელი წლის გაზაფხულზე მზად მექნება ლაშა სამსონაძის პიესა „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“. სამომავლოდ კიდევ მაქვს გეგმაში სხვა ჩანაფიქრიც. დიდი პასუხისმგებლობით ვემზადებით ეროვნული დრამატურგიის ფესტივალისათვის, რომელიც 1991 წლის შემოდგომაზე ჩვენს თეატრში უნდა გაიმართოს. ეს იქნება ერთგვარი თვითანგარიში, თუ როგორ ახორციელებს მესხეთის თეატრი ქართული დრამატურგიის ნიმუშების დადგმას. აქვე დავძენ, რომ შეძლებისდაგვარად კლასიკასაც ვაცნობდით მესხეთის მაყურებელს. ჩვენს სცენაზე ბოლო დროს დაიდგა მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“, ჟან ანუის „ანტიგონე“, ლავრენევის „ორმოცდამეერთე“ და სხვა. მიუხედავად რესპუბლიკაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, გვსურს ქართული თეატრის დღე — 14 იანვარი განსაკუთრებული ზეიმით აღვნიშნოთ.

— მესხეთის გარდა ჯავახეთის რეგიონის თეატრს მონატრებულ მაყურებლისთვისაც გმართებთ ზრუნვა...

— ჯავახეთი ისეთივე ნაწილია ჩვენი დედა-საქართველოსი, როგორიც მესხეთი. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ მესხეთ-ჯავახეთის რაიონების მოსახლეობა ვაზიაროთ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას და პირნათლად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული საპატიო მისია, რასაც ქართული თეატრალური ხელოვნების, მშობლიური ენის, ქართული კულტურის პროპაგანდა გვავალებს.

— ღმერთმა დაგლოცოთ!

— გმადლობთ.

ესაუბრა რობერტ ცუცქირიძე.
საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორ.

სპორტი

საჭადრაკო დაფასთან და მის მიღმა

ჯერ კიდევ ახალი წლის მიწურულს გაიმართა მსოფლიოს პირველობის მატჩის 24-ე პარტია. თეთრებით მოთამაშე მსოფლიო ჩემპიონმა საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ დიდსულოვნება გამოიჩინა და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. კარპოვი, რა თქმა უნდა, დაეთანხმა ამ წინადადებას. ამრიგად, მატჩი მოიგო გარი კასპაროვმა ანგარიშით 12,5:11,5.

მატჩის შედეგების შეჯამება სპეციალისტების საქმეა და ალბათ, მალე ვიხილავთ კიდეც საფუძვლიან წერილებს ლიონში დამთავრებული მატჩის შესახებ. ახლა კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გარი კასპაროვმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი უპირატესობა მისი „მუდმივი“ მეტოქის წინაშე და, როგორც მინიმუმი, უახლოესი სამი წლისათვის გაინაღდა მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკის სახელი.

გარი კასპაროვის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი კმაყოფილია იმითაც, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა ამჯერადაც არ უღალატა თავის აქტიურ, ღრმა ანალიზზე დაფუძნებულ სტილს და რამდენიმე პარტიაში უჩვენა თავისი ნამდვილი ძალა. აქ იყო ყველაფერი: სადებიუტო სიახლენიც და მოულოდნელი შეწირვებიც, ღრმა ჩანაფიქრიც და მისი შესრულების ოსტატობაც.

გარი კასპაროვი ყურადღებას იპყრობს თავისი მოწინავე საზოგადოებრივი შეხედულებებითაც, სათავეში უდგას პოლიტიკურ პარტიას, რომლის მიზანია დააჩქაროს საბჭოთა კავშირში დემოკრატიული გარდაქმნები, ბოლო მოუღოს უკანონობასა და ძალმომრეობას, დანერგოს კაცთმოყვარეობისა და შეწყალების ჰუმანური იდეალები.

ვუსურვოთ გარი კასპაროვს ახალი წარმატებები საჭადრაკო დაფისთან და მის მიღმაც.

3 იანვარს ლიონში შედგა მატჩის საზეიმო დახურვა. მსოფლიოს ჩემპიონს გარი კასპაროვს გადაეცა მთავარი პრიზი — ბრილიანტებით გაწყობილი ლიონელ ოსტატთა ნაკეთობა, რომლის ღირებულება ერთი მილიონი დოლარია. მანვე მიიღო მილიონნახევარი დოლარი ფულადი პრემია, ხოლო კარპოვმა 900 ათასი დოლარი.

როგორც მსოფლიოს ჩემპიონმა განაცხადა, განზრახული აქვს აუქციონზე გაყიდოს ჯილდოდ მიღებული საიუველირო ნაკეთობა და მიღებული თანხა მთლიანად გადასცეს ბაქოელ სომხებს. — მოპოვებულ გამარჯვებას ვუძღვნი ჩემს თანამემამულეებს, ბაქოელ სომხებს, რომლებიც დაზარალდნენ გასული წლის თებერვალში ეროვნებათაშორისი შეტაკებების დროს, — თქვა მსოფლიოს ჩემპიონმა.

ფეხბურთელი და რეკლამა

გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი პიერ ლიტბარსკი, რომელიც კლუბ „კელნში“ თამაშობს, გახდა ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწების „ფუსბალ-ტოტოს“ სარეკლამო ხელმძღვანელი. ეროვნულ ნაკრებში 73-ჯერ გამოსვლის შემდეგ, მან ეს კონტრაქტი ერთი წლით დადო.

სეული უმიზნებს

სააგენტო რეიტერის ცნობით, სამხრეთ კორეა დაინტერესებულია იმით, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდეს სწორედ ამ ქვეყანაში. — ამ ტურნირს ბევრი სახსრები დასჭირდება, — თქვა კორესპონდენტთან საუბარში სამხრეთ კორეის სპორტის სამინისტროს წარმომადგენელმა, — მაგრამ ჩემპიონატი ერს სარგებლობას მოუტანს მრავალი ასპექტით. მაგალითად, გაზრდის ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი ასპარეზობა აზიის კონტინენტზე ჯერ არ ჩატარებულა.

სარეკორდო თანხა

როგორც ნიუ-იორკიდან იუწყებიან, ამერიკის საკაბელო ტელევიზიის კომპანიამ „პეი-ტვ“ სარეკორდო თანხა მიიღო მძიმე წონაში პროფესიონალი მოკრივეების ევანდერ ჰოლიფილდსა და ჯეიმს დუგლასს შორის გამართული შეხვედრის დემონსტრაციის წყალობით. 1,2 მილიონმა ტელემაყურებელმა პაექრობის ნახვისათვის, რომელიც სულ ათი წუთი გაგრძელდა, საშუალოდ გადაიხადა 35-მდე დოლარი.

გახსენება

მეცნიერი და მამულიშვილი

(არკადი გოცირიძის დაბადების 100 წლისთავის გამო)

საქართველოში ფსიქონევროლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი პროფესორი არკადი (აკაკი) გოცირიძე დაიბადა 1890 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ წესში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე, რომელიც 1915 წელს დაამთავრა. 1922 წლამდე არკადი გოცირიძე რუსეთში მუშაობდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ბატონი არკადი 1922 წლიდან 1934 წლამდე და 1939 წლიდან 1941 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-პროფილაქტიკურ სამმართველოს.

1930 წლიდან არკადი გოცირიძე ხელმძღვანელობს თბილისის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერს, რომელიც შემდგომ გადაკეთდა ფუნქციურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტად, ხოლო უფრო მოგვიანებით — ფუნქციურ ნერვულ დაავადებათა საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანებად. 1930 წლიდანვე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე განაგებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ და სანიტარიულ-ჰიგიენური ფაკულტეტების ფსიქიატრიის კათედრას.

ამასთან, არკადი გოცირიძე ნიადაგ ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. 1932 წელს მონოგრაფიისათვის „ჰიპნოზი“ დისერტაციის დაუცველად მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1941 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი შრომისათვის „ნევროზულ აშლილობათა ტიპოლოგია, მიზოიდური ნევროზების კლინიკისათვის“. 1946 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მისი მეცნიერული შემოქმედებითი მუშაობა მეტად მრავალფეროვანია და ეხება ფსიქონევროლოგიის როგორც თეორიულ, მეთოდოლოგიურ, ისე პრაქტიკულ და ორგანიზაციულ საკითხებს, დაწყებული ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის, პიროვნების ქარაქტეროლოგიის, ნევროზების, ფსიქოზურ მდგომარეობათა საკითხებით და გათავებული ფსიქოჰიგიენის, ფსიქოპროფილაქტიკის, ფსიქოთერაპიის და ორგანიზაციული ფსიქიატრიის საკითხებით.

პროფესორი ა. გოცირიძე ორი ათეული წლის მანძილზე ამუშავებდა ნევროზულ მდგომარეობათა პრობლემატურ საკითხებს. ასეთი განსაკუთრებული ინტერესი ნევროზების პრობლემისადმი შემთხვევითი არ გახლავთ: ქართული ფსიქონევროლოგია და მისი ფუძემდებელი პროფესორი მიხეილ ასათიანი, ჯერ კიდევ 1912-1915 წლიდან შეისწავლის ამ თემას. ასე რომ, არკადი გოცირიძის მეცნიერული ძიება გაიშალა მომზადებულ და ნოყიერ ნიადაგზე. მისი ვარაუდი ნევროზულ აშლილობათა, როგორც, ძირითადად, პიროვნული რეაქციების შესახებ, გარკვეულწილად შეესატყვისება თანამედროვე პერსონოლოგიური ფსიქოპათოლოგიის ძირითად დებულებებს.

პროფესორ ა. გოცირიძის ღვაწლი ფსიქოთერაპიის დარგში თავის დროზე აღიარეს ქვეყნის წამყვანმა ფსიქოთერაპევტებმა. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფსიქოთერაპიული აზროვნებისა და პრაქტიკული ფსიქოთერაპიის განვითარების საქმეში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე შრომა ბავშვთა ფსიქიატრიის განვითარების, ასაკობრივი კრიზისების თავისებურებათა, ბავშვის თამაშის ფსიქოლოგიური საფუძვლებისა და ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა შესახებ.

პროფესორი არკადი გოცირიძე შესანიშნავი მოქალაქე იყო. ბუნებრივი ოპტიმიზმი, სულგრძელობა, სიცოცხლის სიყვარული ღვაწლმოსილ მეცნიერსა და ჯანმრთელობის ორგანიზატორს ეხმარებოდა მრავალ სიძნელეთა წარმატებით გადალახვაში.

იგი 1954 წელს გარდაიცვალა.

1965 წელს ა. გოცირიძის სახელი მიენიჭა თბილისის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერს.

მ. მესტიაშვილი,
პროფესორი,
შ. ბამურელიძე,
პროფესორი.

განცხადება

საშობაო დღესასწაულთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილმი“ კინოთეატრ „აპოლოში“ აწყობს რელიგიური ფილმების კვირეულს, რომელიც დაიწყება ქრისტეს შობის დღეს 7 იანვარს. ყოველდღიურად უჩვენებენ შემდეგ ფილმებს:

1. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია;
2. ჟამი შეკრებად ქვათა.

დასაწყისი 11, 13 საათზე.

ქართული მხატვრული ფილმი „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“, დასაწყისი 15, 17 საათზე.

ამერიკული მხატვრული ფილმი „იესო“. ლუკას სახარების მიხედვით, ქართულ ენაზე. დასაწყისი 19 საათზე.

ქართული მხატვრული ფილმი „მეფე დიმიტრი თავდადებული“, დასაწყისი 21 საათზე.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით, მადლობა გადაუხადოთ ყველა იმ პიროვნებას და ორგანიზაციას, ვინც გაიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება რეზო ურიდიას დაღუპვის გამო.

რეზო ურიდიას ოჯახი.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერი არ გამოვიდა ქაღალდის უქონლობის გამო.

ტელევიზია

თბილისი

შაბათი, 5 იანვარი

პირველი პროგრამა. 10.05 — მოსწავლეთა საშობაო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ტომი მაკტიგი“. 11.30 — „ამერიკა, ამერიკა...“. 13.30 — ჟაკ დემი. „მუსიკა კინოდარბაზში. მიშელ ლეგრანი. 14.45 — მუსიკალური ვიდეოფილმი „გალა-კონცერტის ექო“. 15.45 — საახალწლო საცირკო სანახაობა. 17.00 — „მსოფლიოს გამოჩენილი პიანისტები“. 17.50 — მხატვრული ფილმი „ტარზანი მანჩესტერში“. 19.10 — „ევროპა, ევროპა...“. 20.00 — მოამბე. 20.30 — „რერო“. 21.00 — „ვრემია“. 21.45 — „ილუზიონი“. 23.30 — „პუნქტუმ, კონტრაპუნქტუმ“.

ოსტანკინო

შაბათი, 5 იანვარი

პირველი პროგრამა. 6.30 — „მუსიკალური საჩუქარი“. 7.00 — „ფიფქია“. 7.10 — დილის გასართობი პროგრამა. 7.45 — ჩვენი ბაღი. 8.15 — სპორტი ყველასათვის. 8.30 — რიტმული ტანვარჯიში. 9.00 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 9.15 — საბავშვო მხატვრული ფილმი „ოჰ, ეს ნასტია!“. 10.30 — მღერის თ. კრასილოვსკი. 10.50 — ჰოკეი. ამხანაგური შეხვედრა „კალგარი ფლეიმზი“ (კანადა) — ცსკა. 12.50 — რეჟისორ ი. ფრიდის ფილმები. „ძაღლი თივაზე“. I და II სერია. 15.00 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 15.15 — „ბურდა მოდენი“ წარმოგვიდგენს...“. 15.45 — „წრეტილის დასმა ადრეა“. 16.30 — ზღაპრებისა და თავგადასავლების სამყაროში. „თორმეტი თვე“. 18.00 — საერთაშორისო პანორამა. 18.45 — მხატვრული ფილმი „მსახური“. I და II სერია. 21.00 — „ვრემია“. 21.45 — „ბრავო-901“. 0.15 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 0.30 — „თვალსაზრისი და სხვანი“. წარმოგვიდგენს: „მატადორი“. 1.30 — ტელეფილმი „ბატონ პერიშონის მოგზაურობა“. 2.45 — ფილმ-კონცერტი.

მეორე პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. 8.20 — მულტფილმები. 8.55 — ა. არუთინიანი — კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. 9.20 — „ხელი შეუშალა... ხასიათმა“. 9.40 — ანსამბლ „ზოლოტოე კოლცოს“ გამოსვლა. 9.55 — „ცხოვრება ჩერნობილის შემდეგ“. 10.30 — ფილმი ბავშვებს „ზღაპარი ვარსკვლავბიჭუნაზე“. I და II სერია. 12.40 — „შთაგონების სამყაროში“. 13.35 — ფილმ-კონცერტი „პუშკინის ზღაპრები“. 14.30 — „პლუს თერთმეტი“. 17.00 — მღერის ჯგუფი „ლურჯი ფრინველი“. 17.15 — რუსული მეტყველება. 17.45 — ნ. ბაბკინას და ანსამბლ „რუსული სიმღერის“ შემოქმედებითი საღამო. 19.45 — რუსეთის პარლამენტის მოამბე. 20.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 20.15 — სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. 21.00 — „ვრემია“. 21.45 — პუჩინი — „ტოსკა“. ფილმ-სპექტაკლი. 23.45 — მხატვრული ფილმი „ღამის სამუშაო“.

მთავარი რედაქტორი ნანუკა ჟაჭუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 66484.

საქართველოს რესპუბლიკა